

**-კენ-თანდებულნიანი შესიტყვიევი და მათი ფუნქციური-
სამანტიკური ეკვივალენტები თანამედროვე
სალიტერატურო ქართულში**

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული შეხედუ-
ლების მიხედვით, **-კენ** თანდებული **კერძო**-ს გაცვეთილი და ფონეტი-
კურად სახეცვლილი ვარიანტია. **კერძო** ძველ ქართულში არსებითი
სახელის მნიშვნელობითაც იხმარებოდა (=მხარე) და ზმნისართ-თან-
დებულის ფუნქციითაც (=მხარეს)¹. ფორმის ცვლის პროცესი ასე
წარმოგვიდგება: **კერძო** > **კერძ** > **კერ** > **კენ**².

საშუალო ქართულად წოდებულ ლიტერატურულ ძეგლთა ენაში
-კერ-ის გამარტივებული **-კე** ფორმაც იხმარება. მაგ.: „ზღვათაჲ სარ-
კმლით გატყორცა“ (ვტ., 1116). უფრო შორს არის წასული ცვეთის
პროცესი მთის კილოებში (ხევსურული, ფშაური...), სადაც **-კე** ფორ-
მის გვერდით **კერძო** > **კენ** თანდებულის დანიშნულებით **-კ** ელემენ-
ტიც ფუნქციონირებს. მაგ.: მარცხნისკე (ხევს. პოეზ.), მიწისკე, ცისკე
(ვაჟა), ხევსურეთისაკ (ხევს. პოეზ.), ცისაკ (ვაჟა)³.

კერძო ძველ ქართულში სახელის მოქმედებითა და ვითარებითა
(მიმართულებითი) ბრუნვის ფორმებს ერთოდა, უბასუხებდა კითხვებს:
საით? სად? და მიმართულებასა და ადგილზე მიუთითებდა. რომე-
ლიმე აღმოსავალით **კერძო** და აღმოსავალად **კერძო**, მთით **კერძო** და
მთად **კერძო** სინონიმური კონსტრუქციები იყო და კონტექსტის მი-
ხედვით შესაბამისად ნიშნავდა: აღმოსავლეთისაკენ (აღმოსავლეთის

1 ი. იმნაიშვილი, ქართული თხზავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948.

2 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 602;
ა. მარტიოხოცი, თანდებული ქართულში: ივე, I, 1946, გვ. 225; ი. იმნა-
იშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ.,
1957, გვ. 233, 346.

3 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 602; ა. მარტიოხოცი, დასახ. ნაშრ.,
გვ. 225.

მიმართულებით), აღმოსავლეთში; მთისკენ (მთის მიმართულებით), მთაში/მთაზე⁴. მაგალითად:

და ზინ იგი სარკუმელსა ზედა და იხედავენ აღმოსავალით კერძო, პარხ. 716 ა; ვითარცა მიიწია იგი აღმოსავალით კერძო, ეუწყა მას წმიდისა მისთვის მარტკლისა, პარხ. 713 ა; წარვედ ამიერ აღმოსავალად კერძო, 3 მეფ. 17, 8.

ივლტოდა იგი მთით კერძო, ამზნ. 215, 17; ივლტოდედ მთად კერძო, ლ 21, 21 C; წარვიდა მთად კერძო მსწრაფლ, ლ. 1, 395.

კერძო-თანდებულიანი მოქმედებითისათვის კიდევ ერთ ფუნქციას ასახელებენ — მიმართულების საწყისი პუნქტის ჩვენებას. ამ მნიშვნელობით **კერძო**-თანდებულიანი სახელი მიუგებს კითხვას **საიდან?** მაგ.: „მოუყდა იგი ზურგიით კერძო“, ლიტ. ქრესტ. 161, 16 (=ზურგიდან)⁵.

კერძო თანდებული ძველ ქართულში იშვიათად ნათესაობითი ბრუნვის ფორმასაც ერთოდა და ისეთივე ფუნქციით გამოიყენებოდა, როგორითაც მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმებთან⁷. საშუალ ქართულში მისი ხმარება ნათესაობითთან სისტემატური გახდა, ამასთან, თანდებულმა თანდათანობით დაკარგა დამოუკიდებლობა, როგორც ითქვა, მასალობრივად გაცვდა, ფონეტიკურად იცვალა (**კერძო** > **კენ**) და სახელის ბრუნვის ფორმას შეეზარდა. თანამედროვე ქართულში **-კენ** თანდებული „სახელებთან მარტო ნათესაობითში იხმარება და მხოლოდ და მხოლოდ მიმართულებას გამოხატავს; ძავალითად: სოფლისაკენ, სახლისაკენ და სხვ.“⁸.

ქვემოთ **-კენ**-თანდებულიანი სახელები მათთან სინტაქსურად და სემანტიკურად დაკავშირებულ ზმნურ და სახელურ ფორმებთან ერთად იქნება განიხილული.

I. რას წარმოადგენს **-კენ**-თანდებულიანი შესიტყვებები — მათი ზმნური და სახელური კომპონენტები სემანტიკური თვალსაზრისით?

1. ვინაიდან **-კენ** თანდებულთან ფუნქციურად მიმართულების ჩვენებაა დაკავშირებული, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ მნიშვნელობას ის ზმნები იგუებენ, რომლებიც შინაარსობრივად მოძრაობა-გა-

⁴ ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 224; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 346, 740.

⁵ მაგალითებისათვის იხ. ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 233, 230, 347, 346, 740.

⁶ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 602; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 346.

⁷ ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 224; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 347.

⁸ ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

დაადგილებას გამოხატავენ. მართლაც, -კენ-თანდებულიან შესიტყვე-ბებს როგორც პირდაპირი (პირითადი, ნომინაციური), ასევე გადა-ტანითი (ფიგურალური, მეტაფორული) მნიშვნელობით ნახშიარი მოძ-რაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის ზმნები ქმნიან, ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ ზმნური ფორმა გარკვეულ მხარეს მიმართულ მოქმედებას უნდა გამოხატავდეს.

ამგვარი შეზღუდვის აუცილებლობა თავად თანდებულის ფუნ-ქციური თავისებურებით არის ნაკარნახევი. საქმე ისაა, რომ -კენ თანდებული ზმნური მოქმედების ლოკალიზაციას ახდენს სივრცეში, ის იმ სივრცობრივი ორიენტირის როლს ასრულებს, რომელსაც მი-ითება, რომლის მხარესაც ვრცელდება ზმნით გამოხატული მოქ-მედება. სივრცეში გადაადგილება კი, მოქმედების საბოლოო შედე-გის მიხედვით, ყოველთვის გარკვეული მიმართულებით არ ხდება. ზმნა შეიძლება მოძრაობა-გადაადგილებას გამოხატავდეს, მაგრამ: ა) მოძრაობა ადგილზე სრულდებოდეს (მაგ.: ბავშვი ხტუნავს); ბ) ზმნა საგნის დამახასიათებელ ისეთ ზოგად მოქმედებას გამოხატავდეს, რომელიც არაფერს არ მიემართება (მაგ.: ჩიტი ფრინავს, თევზი ცურავს); გ) სივრცეში გადაადგილება ხდებოდეს, მაგრამ „გარკვეული მიმართუ-ლების დაუსახელებლად“⁹ (მაგ.: ჩიტი ჭალაში დაფრინავს; ციყვი ტო-ტიდან ტოტზე დახტუნავს); დ) მოძრაობა მიმართული იყოს შემო-საზღვრული სივრცისაკენ (მაგ.: ტყეში შეფრინდა) ან ორმხრივ შე-მოსაზღვრული სივრცის პუნქტებს მიემართებოდეს (მაგ.: თბილისსა და მოსკოვს შორის დაფრინავს, მიდი-მოდის).

დასახელებული ტიპის ზმნები -კენ-თანდებულიან სახელებთან სინ-ტაქსურ-სემანტიკური შეუთავსებლობის გამო შესიტყვებას ვერ შექ-მნიან.

-კენ-თანდებულიან შესიტყვებებს სივრცეში შემოუსაზღვრავი მი-მართულების მქონე მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკის ზმნებო ქმნიან. ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა ზმნისწინიანია. როგორც ცნობილია, ზმნისწინებს სწორედ ამ — მოძრაობა-გადაადგილების მნიშვნელობის მქონე ზმნებში აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი ფუნქცია — მიმართულების ჩვენება.

რაც შეეხება სახელად ნაწილს -კენ-თანდებულიანი შესიტყვებისა, ენაში ფაქტობრივ არ არსებობს ზღვარი იმ სიტყვებისა (ობიექტურ სინამდვილეში რეალურად არსებულ საგანთა სახელებით დაწყებული

⁹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 254. როგორც ავტორი შენიშნავს, დაფრი-ნავს, დაცურავს, დახტუნავს და მისთ. ტიპის ზმნებში და- პრევერბო მიმართულე-ბის ნეიტრალიზაციას ახდენს (შდრ. მიფრინავს — მოფრინავს და დაფრინავს; მი-ხტუნავს — მოხტუნავს და დახტუნავს).

და მრავალრიცხოვანი აბსტრაქტული სახელით დამთავრებული), რომელთა ხმარება დასახელებული წრის ზმნებთან ძირითადი თუ ფიგურალური მნიშვნელობით შესაძლებელი არ იყოს.

მაგალითად: გასწია, მოკურცხლა შინისაკენ; გარბის ტყისაკენ; მიფრინავს ბარისაკენ; დაიხარა, გადაიხარა, გადაიწია ნაპირისაკენ; მიეძურება, მიუხარია სკოლისაკენ; გაექანა, გაემართა მოწინააღმდეგისაკენ; მიმართა (თოფის ლულა) სამიზნისაკენ; წაიყვანა მდინარისაკენ; იხვეს ღრმა ზურგისაკენ; დაიძრა ბერლინისაკენ; ნაბიჯი გადადგა, უბიძგა, მიექანება უფსკრულისაკენ; ტალღებს მიაპობს ნაპირისაკენ...
ნიმუშები ლიტერატურიდან:

ბუნქენ წაყვლი ნარეკვაის წყალს აბყვია ჩრდილოეთისაკენ (კ. გამს.);
აშოტ კურაპალატი ლაშქარს მიუძღოდა აღმოსავლეთისაკენ (ლ. სანიკ.);
სვიატოსლავი დასავლეთისაკენ—ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ დაიძრა (სსრკ ისტ., VII);
ხევის წყალმა სამხრეთისაკენ გაუხვია, ახლა უფრო ღია ხეობა დაიწყო (კ. გამს.);
ერისმთავარი სტეფანოზ მესამე თავისი ოჯახით ეგარისისაკენ გაეშურა (ლ. სანიკ.);
გლეხები თითქმის უიარაღოდ მიდიოდნენ უცნობი იერუსალიმისაკენ (შენა საფ. ისტ., VI);
აიყარნენ მეფე და ტაძრეული... საზეიმოდ მორთულ ჭვარამტვირთველს თან გაბყვნენ მანგლისისაკენ (კ. გამს.);
წამყუდუნებულნი იყვნენ (კ. ტაბ.)...

შორეული პლანეტებისაკენ მიფრინავენ კოსმოაურა ხომალდები (მათეძ., V);
ექსპედიცია ნელა მიიწევდა პოლუსისაკენ (კონტ. გეოგრა., VI);
ზე მიბჰქონდა, ღრუბლისაკენ, ცეცხლი ქარსა, ქროდა ქარი (ა. კალანდ.);
ვალმერთებ მშესა, ვანთებ ცეცხლსა და მზისკენ მიდიის რძისდერი კვამლი (ა. კალანდ.);
...ქარაფებისაკენ გარბოდა ქალი და კაცი, უჭერეტდნენ თოროსან რაინდებს (კ. გამს.);
არ მოიხრა სხვისი ცოლი რომ იყო, როცა მიმყავდა მდინარისაკენ (თ. ჩხენკ., თარგმ.);
ბარისკენ მოფრინავს ჭაფარა (რ. ინან.);
და შინისაკენ მოკურცხლა აღვსალმა სინარულითა (ავაი)...

მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისაკენ (ა. ყაზბ.);
[კაცი] გოგონასაკენ შემობრუნდა („თბილ.“);
ეს რომა თქვა... ვადმობრუნდა დარეჯანისაკენ (ილია);
შოშია. ერთხანს დადუმდა, მერე ისევ ჩემსკენ გადმოიხარა (ნ. დუმბ.);
...მეგობარი ჩემი ჩემსკენ მოეშურება, ძვირფასი ჩემთვის (თ. ჩხენკ., თარგმ.);
მე მქონდა ფრთები და, რაც მხიბლავდა, დაუფიქრებლად მისკენ მიექრთდი (ო. ჭლი.);
შენა ხარ იგი, რაც მე წამართვი და შენსკენ მოდიხ ყველა აღმართი (კ. ჩარკ.)...

2. -კენ-თანდებულებიან კონსტრუქციითა ზმნური ნაწილი (მარტივი ზმნის გარდა ამ დანიშნულებით ფრაზეოლოგიური ერთეულებიც გვხვდება) შეიძლება სხეთლის ნაწილის მოძრაობას გამოხატავდეს გარკვეული მიმართულებით. მაგალითად: იხედება, იყურება, იმზირება, იტყირება ცისკენ; თვალი, ხელები აღაპრო ხეცისკენ; თითხს იშ-

ვერს (უთითებს) მწვერვალებისკენ; ხელს იწვდის დედისკენ; პირი იბრუნა, პირი ქნა¹⁰ აღმოსავლეთისაკენ.

ნიმუშები:

ამაყი გამოხედვა აქვს, შორეული მწვერვალებისაკენ იცქირება („კომ.“); ღელუნებდა, პაწაწინა ხელებს დედისაკენ იწვდიდა („სოფლ. ცხოვრ.“); მთელმა ლაშქარმა ნარეკვევისაკენ იბრუნა პირი (ყ. გამა.); ამ ყოფით გავწორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემი ქვეყნისაკენ ვქენი (ილია); რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, ... როგორღაც ის დევ-გპირული ზმა ჩასწყვეტია (ილია).

აქვე დავასახელებთ თვალ- და გულ- სიტყვებით შედგენილ იდიო- მური მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც სემანტიკურ შემავსებლად -კენ-თანდებულის სახელებს ითხოვენ: თვალი გაუზრბის, თვალი უჭირავს გზისკენ; თვალს აპარებს უცნობისკენ; გული მიუწევს მშობლიური სანახებისაკენ.

ნიმუშები:

და სიციხით მთვრალეს თვალი ფანჯრისკენ გაუზრბით მეშებს (ო. ჭილი); შვილის მოლოდინშია, თვალი გზისკენ უჭირავს („საქ. ქალი“); თვალს ჩემი „სისხლის გამშრობისაკენ“ ვაპარებდი („ლიტ. საქ.“); მიანცდამიანც არ მიგიწევს გული შინისკენ („თბილ.“).

მოხმობილ საილუსტრაციო მასალაში (იხ. აგრეთვე 1 ბუნქტი) ზმნები თავიანთი პირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი — სივრცეში გადაადგილება ფიზიკურად ზდება და იგი ობიექტურ სინამდვილეში ასევე ფიზიკურად არსებულ საგანთა მიმართულებით — ამ საგნებისკენ ვრცელდება. ამ საგნებში ივარაუდება ყველაფერი, რაც კი გრამატიკულ ლიტერატურაში კონკრეტული საგნის სახელით მოიხსენიება და რასაც სინამდვილეში ნივთიერი, მატერიალური სახე აქვს. ესენია, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მხარეების, ქვეყნის ნაწილებისა და კონტინენტების, მთებისა და მთის მასივების, კუნძულებისა და ნახევარკუნძულების, ზღვების, ტბების, მდინარეების, დასახლებული პუნქტების (ქალაქების, სოფლების...), ... ადვალის სემანტიკის, ... ადამიანისა და სხვა ცოცხალ არსებათა, ჩვენს ირგვლივ არსებულ საგანთა სახელები.

3. ჩვენთვის საინტერესო ზმნათა დიდი ნაწილი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობითაც იხმარება. ამ შემთხვევაში ისინი შესიტყვებას ქმნიან ისეთი საგნების სა-

¹⁰ პირი ქნა -კენ თანდებულის სახელებთან ერთად გარკვეული მდგომარეობის დაკავება-დაჭერას, გარკვეული მიმართულებით შემობრუნებას ნიშნავს. ამგვარ კონტექსტებში ის შეიძლება პირი იბრუნა-ს სინონიმად იქნეს მიჩნეული.

ხელებთან, რომელთაც ნივთიერი, მატერიალური სახე არა აქვთ, რომელთა აღქმა გრძნობათა ორგანოების საშუალებით არ შეიძლება. წვემით ასეთი სახელები აბსტრაქტულ (განყენებულ) და შინაარსობრივად მათთან გათანაბრებულ საგანთა სახელებით იქნება მოხსენიებული.

მაგალითად: მიდის, მიიწევს დიადი მიზნისაკენ, გამარჯვებისაკენ; მიუძღვის კომუნიზმისაკენ; უბიძგა დანაშაულისაკენ; ნაბიჯი გადადგა; უკეთესობისაკენ; პირი იბრუნა ღმერთისაკენ...

ნიმუშები:

ლენინის პარტია — ხალხის ძლიერება წინ, კომუნიზმისკენ მიგვიძღვის ჩვენ (სსრკ პიმნი); [მდინარე] თითქოს სიმშვიდეს ეძებს, ეძებს სიმღოვრეს, იძვრის, მოძრაობს უძრაობისკენ (გ. კვარაცხ.); ასე მიიწველა მთელი „დინამო“ წარმატებისაკენ („ლელო“); ...უკან გვეწვევიან უმიზნო ციფრობრივ დისკუსიებისაკენ, ჩიხებში ხეტიალისაკენ („კომ.“); მას რუსთაველის თეატრი მიჰყავდა მაღალი მიზნისაკენ („კომ.“); და იგი მიდიოდა სიკვდილისაკენ (თ. პაჭკ.); ალკოჰოლმა მათ მხოლოდ უბიძგა დანაშაულისაკენ („თბილ.“); თქვენი აზრით, რა უბიძგებს მას [ფილმის გმირს] ასეთი დევრადაცობისაკენ? („თბილ.“); უკეთესობისაკენ ნაბიჯიც არ გადადგმულა („თბილ.“); მოვიდოდა დრო, როცა მე ღმერთისაკენ პირს ვიბრუნებდი („ხომლი“).

არცთუ იშვიათად მოძრაობის სემანტიკის ზმნა; მართალია, კონკრეტული საგნის სახელთან არის დაკავშირებული, მაგრამ კონტექსტის მიხედვით შესიტყვებას მთლიანად ფიგურალური; მეტაფორული მნიშვნელობა აქვს. მხედველობაში გვაქვს ასეთი შემთხვევები:

და დღეს — მეტად, ვიდრე ოდესმე — საქმე ეხება სიფხიზლეს იმათი ზრიებისადმი, ვინც მსოფლიოს უფსკრულისაკენ, ბირთვული უფსკრულისაკენ უბიძგებს („კომ.“); ლაბარაკია... იმაზეც, რომ ჩვენი სამეურნეო კადრები სკოლისაკენ შემოვადრუნოთ („კომ.“); მე მივრბივარ ამ უსიტყვო, ყოვლისმამღებ, ბნელი დამისკენ! (თ. ჩხენკ., თარგმ.).

აქვე შემოვა ზემოთ განხილული იდიომური მნიშვნელობის მქონე -კენ-თანდებულიანი შესიტყვებები თვალი გაუბრის, თვალი გააპარა, გული მიუწევს...

1. შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში სათანადო ზმნათა სინტაქსურ კონსტრუქციას იმეორებენ მათგან ნაწარმოები სახელები — საწყისები (მასღარები) და მიმღებები. მაგალითად:

ჩინარი მზისკენ გაფრენას ლამობს ფოთლის შრილით (ა. ცალანდ.); სამხრეთის კონტინენტისაკენ გამგზავრების ცდები მრავალი წლის განმავლობაში შეწყვეტილი იყო (კონტ. გეოგრ., VI); და მიგვითიუებს მოძრაობას ზედაპირისაკენ, ჩაკი — მოძრაობას სიღრმისაკენ

(ა. შან.); 90-იანი წლებიდან დაიწყო რაინისის შემობრუნება... მარქსიზმისაკენ (ფილოს. ისტ.)...

და შემოდგომის შთაბრძნობის შემდეგ ჩემსკენ ჰქონდა დახრილი სახე (თ. ჩხენკ., თარგმ.); და მოვიხილე ანგელოსი, ...ყოვლად სპეტაკი, მიწვეულნი ზესკნელისაკენ (თ. ჩხენკ., თარგმ.); იზრდება სიციხე და მაგარ თითებს თანდათან უფრო თამამად უპერს აცხცხებულ თაღებს და ხილვებს და ჩრდოლისაკენ გაქცეულ ქუჩებს (თ. ჯილა); მან ჯონდი ერისთავსა და მის მხლებელთ წაატანა თვალი, გულდაგულ მისკენ მიმქროლავთ (კ. გამს.).

5. -კენ-თანდებულიან კონსტრუქციათა დიდი ნაწილი სიტყვა გზით (იშვიათად ბილიკით...) შედგენილი შესიტყვებებია. გზა ყოველთვის სადღაც მიდის, გზას ყოველთვის სადღაც მივყავართ („გზა ადამიანთა სადგომისაკენ მიდის“ — „მნათ.“; „ბილიკებს მწვერვალებისაკენ მივყავართ“ — „კომ.“). ისეთი შემთხვევები, როცა ამ ტიპის შესიტყვებებში მიდის, მივყავართ ზმნები პირიანი ფორმით არის წარმოდგენილი, შედარებით იშვიათია. შესიტყვებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში კავშირი გზა-სა (ბილიკ-სა...) და თანდებულიან სახელს შორის ნაზმნარი სახელით მიმავალი (ზოგჯერ — სავალი) არის გაშუალებული: ევროპისაკენ მიმავალი გზა, მწვერვალებისაკენ მიმავალი ბილიკები, შენკენ სავალი გზები. მაგალითად:

დიდი ნოვგოროდი მდებარეობდა რუსეთიდან ბალტიისპირეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაკენ მიმავალ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე (სსრკ ისტ., VII); ნიკორწმინდისაკენ მიმავალ გზაზე ერთი პატარა სადურგლო დგას („თბილ.“); რევიავიკმა გამოამხურა სიმნელენი უბირთვო მსოფლიოსაკენ მიმავალ გზაზე („კომ.“); მოზარდი [შეიძლება] უნებლოთ უფსკრულისაკენ მიმავალ საშიშ ბილიკს დაადგეს („სტ. და ცხოვრ.“); გახედა ბოლნისისაკენ მიმავალ თემშარას (კ. გამს.).

მოყვანილ მაგალითებში -კენ-თანდებულიანი ფორმით ვეოგრაფიული და ადგილის სემანტიკის სახელები იყო წარმოდგენილი. ფართოა ამავე დანიშნულებით აბსტრაქტულ და შინაარსობრივად მათთან გათანაბრებულ სახელთა მოხმარების არეც. ივარაუდება, რომ ამ შემთხვევაში შესიტყვებას ფიგურალური მნიშვნელობა აქვს¹¹. მაგალითად:

ეს რწმენა მისთვის... პროფესიული დაოსტატებისაკენ მიმავალი გზის გამკვალავიც იყო („აბ. კომ.“); მომავლისაკენ მიმავალ გზაზე...

¹¹ როგორც ზემოთ ითქვა, ფიგურალური მნიშვნელობით, მეტაფორულად არცთუ იშვიათად კონკრეტული საგნის სახელებით შედგენილი შესიტყვებებიც იხმარება. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორცაა „უფსკრულისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა“ და „მისთ“.

[ახალგაზრდას] არ შეიძლება მოაკლდეს ჩვენი ზრუნვა („კომ.“); [ჩვენ] ვირჩევთ ყველაზე მიზანშეწონილ, ჩვენი მიზნისკენ მიმავალ გზებს („კომ.“); ფინალისაკენ მიმავალ გზაზე მან ყველა მეთოქეს სძლია („კომ.“).

კონტექსტებში, რომლებშიც ზმნურ ნაწილად გზით შედგენილი ისეთი მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები მონაწილეობს, როგორცაა გზას გაუდგა, გზას დაადგა, გზა გალია, გზა გაიკვლია, გზა გაიკაფა, გზა გადაუღობა, გზა გადაუჭრა, გზა მიასწავლა, გზას ეძებს... თანდებულიანი შესიტყვება, ჩვეულებრივ, იკუმშება ადკილად სავარაუდებელი და ასევე ადვილად აღსადგენი სიტყვა მიმავალ-ის ხარჯზე (გამორიცხული არ არის მთელი შესიტყვების ელიფსიც: გზას, რომელიც მიდის/მიემართება, რომელსაც მივყავართ). მაგალითად, რომელიმე ნიკორწმინდისაკენ მიმავალ გზას გაუდგა შეიძლება ასეთი საბითაე შეგვხვდეს: გზას გაუდგა ნიკორწმინდისაკენ.

სხვა მაგალითები:

არაგვისკენ გზას მიიკვლევს, გზას ძალიან შორიანსა (ა. კალანდი); ზურგს საჩქავეს წამოვიგდებდი, გზას წისქვილისკენ გავლევდი (ა. კალანდი); ახალ-ახალი ტალღა მლოცველებისა მოიკაფავდა ეკლესიისკენ გზას (კ. გამს.); [მათ] მომთაბარეებს გზა გადაუღობეს დასავლეთისაკენ — ცენტრალური და დასავლეთი ევროპისაკენ (სსრკ ისტ., VII); [მასწავლებელი] ვალდებულია ეძებდეს საუკეთესო გზებს ბავშვის გონებისა და გულისაკენ („კომ.“); [ისინი] ახლა ეცობრიობას გზას უკვალავენ კომუნისტებისაკენ (სსრკ ისტ., VII); რომ მივასწავლონ უმოკლესი გზა იმისაკენ, ვისი კალთის ქვეშ მოიპოვებ კიდევ სიყვარულს (თ. ჩხენკ., თარგმ.).

ზოგჯერ გზა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია (გზა არის, გზა იყო, გზა გახლავთ). თანდებულიანი შესიტყვება, რომელშიც ამგვარი შემასმენელი იღებს მონაწილეობას, ჩვეულებრივ, შეკუმშულია:

წინ კიდევ დიდი გზაა უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ („ახ. კომ.“); მათ იცოდნენ, ეს იყო გზა დაპყრობილ ხალხთა სრული ეროვნული გადაგვარებისაკენ (ლ. სანიკ.).

იგულისხმება, რომ ეს არის გზა, რომელიც მიდის, რომელსაც მივყავართ, მიმავალი უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ, ეროვნული გადაგვარებისაკენ.

შეკუმშულ -კენ-თანდებულიან შესიტყვებებს ქმნის აგრეთვე ნაბიჯი, საფეხური, ბილიკი. გამოყენების სიხშირის მიხედვით ამ სიტყვებით შედგენილი შესიტყვებები დიდად ჩამოუვარდება გზის მეშვეობით შედგენილ ანალოგიურ შესიტყვებებს. მაგალითად:

განა ცვლილება სუყოველთვის ნაბიჯია სრულყოფისაკენ? (გ. კვარაცხელი); ნეოლატონიზმი მას მიანიჭა გარდამავალ საფეხურად ახალი ფილოსოფიისაკენ (თ. კუკა); ბურთმა სულ სხვა ბილიკები მონახა მოწინააღმდეგის კარისაკენ (გ. ფანჯა).

კონტექსტებით ივარაუდება, რომ ცვლილება ყოველთვის არ არის სრულყოფისაკენ გადადგმული ნაბიჯი (შდრ.: „ჩვეთვალთ ჩვენ დღევანდელი საფეხნოც ამ მიზნისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად“ — „ქელ სკოლაში“); რომ ნეოლატონიზმი გარდამავალი საფეხურია, გასავლელი ეტაპია განვითარების აღმავალ კიბეზე, რომელმაც ახალ ფილოსოფიასთან უნდა მიგვიყვანოს; რომ ბურთმა კარისაკენ მიმავალი ბილიკები მონახა.

ყველა დასახელებულ შემთხვევაში სვლის, გადაადგილების სემანტიკა ხელშესახებია.

6. -კენ-თანდებულიანი შესიტყვებები (ჩვეულებრივ, შეკუმშული) ან მხოლოდ თანდებულიანი სიტყვები (ისინი შესიტყვების ან ზოგჯერ მთელი წინადადების ფუნქციის ასრულებენ) ფართოდ გამოიყენება მოწოდებებსა და ლოზუნგებში, საგაზეთო სათაურებში, გეგვდება ფილმების, ჟურნალ-გაზეთებისა თუ მხატვრული ნაწარმოების სახელწოდებებში. მათ, მართალია, ძალიან ზოგადი, მაგრამ მეტწილად მაინც ცალსახა და ორაზროვნებას მოკლებული მნიშვნელობა აქვთ. მეტყველების ეკონომიასთან ერთად დიდია მათი ექსპრესიული დატვირთულობაც.

მაგალითები:

წინ — კომუნისტიზმისაკენ; ლენინის დროით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წინ კომუნისტურ მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისაკენ! („წინსვლა“ — თერჯ.); ნიკოლაძე თავს დაესხა კანტიანელების მოწოდებას — „უკან, კანტიისაკენ“, როგორც რეაქციულ ნაბიჯს ფილოსოფიაში (ფილოს. ისტ.); ოქტომბრის გზით — მშვიდობის საუკუნისაკენ („კომ.“ — სათ.); ოქტომბრის გზით — სოციალიზმის სრულყოფის ახალი მიჯნებისაკენ („კომ.“ — სათ.); უომებო და უიარღო მსოფლიოსაკენ („კომ.“ — სათ.); ნაბიჯი მომავლისაკენ („ლიტ. საქ.“ — სათ.); „ახალ სკოლისაკენ“ (ჟურნალის სახელწოდება); „ათი ათასი ნაბიჯი ჯანმრთელობისაკენ“ (წიგნის სახელწოდება); „გზა მაღალი საზოგადოებისაკენ“ (ფილმის სახელწოდება)

-კენ-თანდებულიანი სახელების გამოყენების სფერო დიდია ბრძანება-მოწოდების (განკარგულების) ტიპის ისეთ წინადადებებში, როგორიცაა:

- ქალაქისკენ — ყვიროდნენ ზოგიერთები.
- იმერეთისკენ — იძახოდნენ მეორენი.
- მარაბდისკენ — ზღაოდნენ მესამენი (მ. ჯავახ.).

როგორც შენიშნავენ, თანდებული ამ შემთხვევაში სიტყვათა მკაცრ-შირებლის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ ამა თუ იმ მნიშვნელობის მატარებელია.

7. -კენ-თანდებულიანი სახელი -გან თანდებულიან მოქმედებით-თან¹² ერთად ქმნის გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მოქმედების გავრცელების მიმართულებასთან ერთად მისი დასაწყისიც ვაჩვენოთ. მაგ.: „მან დასახა დიდი ეროვნუ-ლი გზა ტაო-კლარჯეთიდან ქართლისაკენ“ („ქელ სკოლაში“). კონტექსტი ერთდროულად ორ ინფორმაციას გვაწვდის: გზა, რომელიც ქართლისაკენ მიემართება, ტაო-კლარჯეთში იღებს სათავეს.

სხვა მაგალითები:

დავიდ ლეინგსტონმა გადაკვეთა სამხრეთი აფრიკა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (კონტ. გეოგრ., VI); დე, ნუ იქნება ჩემი წვლილი სულაც საჩინო, ოღონდ ვატარო სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ და დავიწყებას ვადაგარჩინო (გ. კვარაცხ.); და აღმა მაპობ მდინარეს — ზღვიდან წყაროსკენ, სიმშვიდიდან — ვენებათა დელეისაკენ, დასასრულიდან — დასაწყისისკენ (გ. კვარაცხ.).

ასე რომ, -(ი)დან — კენ კონსტრუქცია ორი თვალსაზრისით ახდენს ზმნური მოქმედების ლოკალიზაციას სივრცეში — საწყისი პუნქტისა და მოქმედების გავრცელების საორიენტაციო პუნქტის მიხედვით (მიჰყავს ტაო-კლარჯეთიდან ქართლისაკენ). შდრ. -(ი)დან — მდე კონსტრუქცია, რომელიც ორმხრივ შემოსაზღვრავს მოქმედების გავრცელების არეს სივრცეში — საწყისისა და ზღვრული პუნქტების მიხედვით („კონტინენტის მეტი ნაწილი, დაწყებული საჰარიდან უკიდურეს სამხრეთამდე, დასახლებულია ნეგროიდებით“ — კონტ. გეოგრ., VI) და -(ი)დან — ში კონსტრუქცია, რომლისთვისაც საწყისთან ერთად მიწეგნის პუნქტის ჩვენებაცაა ნიშანდობლივი („წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარო!...“ — გ. ტაბ.).

II. მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის სიტყვებს განეკუთვნება ისწრაფვის, მისწრაფვის, ილტვის, მიილტვის, მიდრკება ზმნები და ამ მოქმედებათა სახელები — სწრაფვა, მისწრაფება, ლტოლვა, მიდრეკილება. მიდრკება თანამედროვე ქართულში თითქმის აღარ იხმარება, მისი გამოყენების თითო-ორთა შემთხვევასაც სტრუქტურული დანიშნულება აქვს — არქაიზაციას ემსახურება. დანარჩენ ზმნურ და სახელურ ფორმათა მოხმარების სფერო თანამედროვე

¹² როგორც ცნობილია, სახელი -გან თანდებულიან მოქმედებითში მორფემათა ზღვარზე ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად -(ი)დან დაბოლოებას იღებს: სოფლ-ით-გან > სოფლ-იდ-გან > სოფლ-იდან; წყარო-თ-გან > წყარო-დ-გან > წყარო-დან.

სიტყვათხმარებაში განუზომლად დიდია. ეს განსაკუთრებით სახელურ ფორმათა (სწრაფვა, მისწრაფება, ლტოლვა, მიდრეკილება) შესახებ ითქმის. შევნიშნავთ, რომ ზემოთ განხილულ -კენ-თანდებულიან შესიტყვეებებში გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით ზმნური ფორმები დიდად სჭარბობდა სახელურს (ეს ფაქტი აისახა კიდევ სათანადო საილუსტრაციო მასალაში).

ისწრაფვის, მიისწრაფვის, ილტვის, მიილტვის ზმნური ფორმები მოძრაობა-გადაადგილების გამომხატველ სხვა ზმნათაგან გარკვეული თვალსაზრისით განსხვავებულ სტრუქტურულ-სემანტიკურ ქვეჯგუფს ქმნიან, რაც მათი ცალკე განხილვის აუცილებლობას განაპირობებს.

სწრაფვა (ისწრაფვის, ესწრაფვის), **მისწრაფება** (მიისწრაფვის), **ლტოლვა** (ილტვის, ელტვის, მიილტვის, მიელტვის) წიგნური წარმოშობის მაღალფარდოვანი სიტყვებია. სალიტერატურო ენაში ასე ფართოდ გავრცელებას მათი პოლისემიურობა და ექსპრესიულობა შეაპირობებს და, რარიგ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ერთგვარი სემანტიკური ბუნდოვანებაც უწყობს ხელს. ეს სიტყვები იტევს ყველაფერს უფრო დიდსა და ძლიერს, ვიდრე ჩვეულებრივი **სურვილი**, **წადილი**, **ოცნება**, **მიზანი**, **ინტერესები**, **სულისკვეთება**... არცთუ იშვიათად **სწრაფვა**, **მისწრაფება**, **ლტოლვა** სიტყვათა ექსპრესიულობას კიდევ უფრო ამძაფრებს ემოციურად ჭარბად დატვირთული მსახვრელება (შდრ., მაგ.: „...და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას“ — ნ. ბარათ.).

სწრაფვა, **მისწრაფების** თავდაპირველი, მნიშვნელობა აჩქარებას უკავშირდება, **ლტოლვისა** — გაქცევას. სემანტიკური თვალსაზრისით დაახლოება-დამსგავსების შედეგად **ლტოლვამ** სინონიმური წყვილი შექმნა **სწრაფვა/მისწრაფებასთან**; **სწრაფვამ** (**ისწრაფვის** ფორმამ) კი თავდაპირველ მნიშვნელობას სივრცობრივი მიმართების — **გაშურების** შინაარსობრივი ნიუანსი შესძინა.

ისწრაფვის, მიისწრაფვის და **ილტვის, მიილტვის** ზმნების პირდაპირი, ძირითადი მნიშვნელობა თანამედროვე ქართულში **აჩქარება**, **გაშურება**. უნდა ითქვას, რომ ამ მნიშვნელობით მათი გამოყენების არე ძალზე შეზღუდულია, კონტექსტში მათ ადგილს, ჩვეულებრივ, სინონიმური **იჩქარის, მიიჩქარის** ზმნური ფორმები იჭერს (შდრ.: „იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება“ — გ. ტაბ.). ამავე მნიშვნელობით იხმარება სივრცობრივი თვალსაზრისით ორიენტირებული **მიემშურება**, **მიემართება** ზმნებიც.

საითყენმე **გადახრას**, **გადაზნექას** უკავშირდება **მიდრეკილების** ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა (შდრ.: „თუ ჩაქრე, მეცა მივდრკები ქრობად, ფოთოლთა ცვენად“ — ა. კალანდ.).

თანამედროვე სიტყვათხმარებაში **ისწრაფვის**, **მიისწრაფვის** და **ილტვის**, **მიილტვის** ზმნები ძირითადად გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობით იხმარება; მხოლოდ ფიგურალური მნიშვნელობით გვხვდება **სწრაფვა**, **მისწრაფება**, **ლტოლვა**, **მიდრეკილება**.

სწრაფვა, **მისწრაფება** და **ლტოლვა** სინონიმური მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. გარკვეულ შემთხვევაში მათ სინონიმურ რიგში დგება **მიდრეკილებაც**.

ქეგლ-ის ერთტომეულში ეს სიტყვები ურთიერთგანმსაზღვრელი მნიშვნელობებით არის დახასიათებული — თითოეული მათგანი მეორისათვის სადეფინიციო ერთეულად არის გამოყენებული, კერძოდ,

სწრაფვა განმარტებულია როგორც ძლიერი სურვილი რისამე, — მონდომება, **ლტოლვა**, **მისწრაფება**;

მისწრაფება — **სწრაფვა**, **ლტოლვა** რამესკენ, ვინმესკენ;

ლტოლვა — **სწრაფვა**, **მისწრაფება**;

მიდრეკილება — **სწრაფვა**, **ლტოლვა** რამესადმი; რისამე განწყობილება, ხალისი; ნიჭი, უნარი.

ამ სახელებში, მართალია, არ ფიგურირებს **აჩქარება-გაშუქებისა** თუ **გადახრა-მიდრეკის** შინაარსობრივი ნიუანსი, მაგრამ ფუძის ძირითად, თავდაპირველ მნიშვნელობასთან კავშირი მთლად გაწყვეტილი არ ჩანს (ეგევე ითქმის ფიგურალური მნიშვნელობით ნახმარ სათანადო ზმნურ ერთეულებზედაც). ფიგურალური მნიშვნელობით ხმარებისას აქცენტი ფიზიკური მოძრაობიდან „სულის მოძრაობაზე — სულიერ მიზიდულობა-მისწრაფებაზე“ გადატანილი. ამ დროს წინა პლანზე იწევს **სულისკვეთება**, **მიზანი**, **სურვილი**, **წადილი**, **ნატვრა**, **ოცნება**, **ინტერესები**, **გულისთქმა**, **სიყვარული**, **წყურვილი**, **უინი**, **ბუნებითი განწყობილება** რისამე მიღწევისა, დაუფლებისა, რაიმესთან თანახმარობისა, მიახლებისა, შერწყმისა, შეერთებისა... **სწრაფვა**, **ლტოლვა**, **მისწრაფება** სწორედ ამ სიტყვათა სემანტიკურ ეკვივალენტებად იხმარება კონტექსტში, ოღონდ, როგორც ითქვა, ლექსიკური მნიშვნელობითა და ემოციური დატვირთულობით **სწრაფვა** და **ლტოლვა** უფრო მეტია, ვიდრე **სურვილი**, ნდობა ან **გულისთქმა**... **მისწრაფება** უფრო მეტია, ვიდრე **მიზანი** ან **ინტერესები**...

ამგვარი ლექსიკური ჩანაცვლების შემთხვევები ლიტერატურაში მრავლად დაიძებნება. სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

...ედილობს ახალგაზრდაში გააღვივოს მისწრაფება აზროვნების მეცნიერული წესისადმი („სკ. და ცხოვრ.“).

= ახალგაზრდას გაუღვივოს **ინტერესი**.

თუ შხარეები გამოიჩინენ გულწრფელ მისწრაფებას ვაჭრობის განვითარებისადმი, ამ დარგში ფართო პერსპექტივები დაისახება („კომ.“).

= გამოიჩინენ **ინტერესს**; გულწრფელად **დაინტერესდებიან** ვაჭრობის განვითარებით.

მ. ს. ვორბაჩოვმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ორმხრე მისწრაფებას ისე წარმართონ საქმე, რომ შეეცადეს ომის საფრთხე („კომ.“).

= დიდი მნიშვნელობა აქვს **მონდომებას**, **მცდელობას**, **სურვილს**.

გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება კვლავაც განვითარდეს ორი ქვეყნის მოკავშირული ურთიერთობა („კომ.“).

= გამოითქვა **სურვილი**.

როგორც ითქვა, **სწრაფვა**, **ლტოლვა**, **მისწრაფება**, **მიდრეკილება** ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. ისინი კონკრეტულობას სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას იძენენ. ამგვარი შინაარსობრივი კონკრეტიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა კონტექსტში მათი უფრო კონკრეტულ სინონიმურ სახელთან დაწყვილება. მხედველობაში გვაქვს ასეთი შემთხვევები (საილუსტრაციო მასალასთან ერთად წარმოვადგენთ **მისწრაფება/სწრაფვა** სიტყვებთან დაწყვილებული სახელის განმარტებასაც, რომელიც ქეგლის ერთტომეულის მიხედვით არის დამოწმებული):

საკვ ცენტრალური კომპატი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა პარტიის პოლიტიკური კურსი რაც შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს მშრომელთა უფართოესი ფენების ინტერესებსა და მისწრაფებებს („კომ.“).

შდრ.: ინტერესი — მიზანი, მისწრაფება, მოთხოვნილება (ეს ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა).

ეს მიზანი და მისწრაფება ხელშესახება და ამკარად გამოყვითილი („სკ. და ცხოვრ.“).

შდრ.: მიზანი — რაც უნდა განახორციელონ, რისკენაც მიისწრაფვიან, რასაც უნდა მიადწიონ.

არ აქვთ **სურვილი**, ფართული **სწრაფვა** ურთიერთხილვის, მათ, ამ მშვენიერ ძველ კუნძულებს — როდოსს და ხიოსს? (ა. კალანდ.).

შდრ.: სურვილი — მისწრაფება, მიდრეკილება რისამე მისაღწევად, განსახორციელებლად.

ძველს და ახალს სარწმუნოებას, ბუნებას თავის ცხოველებით და მცენარე-
ებით, კაცის სული სკვეთებას და მისწრაფებებს უმოქმედნია ან თუ
იმ გეოგრაფიულ სახელწოდებაზე („განათლ.“).

შდრ.: სულისკვეთება — შინაგანი განწყობილება, ძლიერი სურ-
ვილი, მისწრაფება, გულისთქმა.

ყოველ კერძო შემთხვევაში კონტექსტი **მისწრაფების** კონკრეტი-
ზაციას ახდენს სიტყვების — **ინტერესების, მიზნის, სურვილისა** და
სულისკვეთების საშუალებით. **მისწრაფებასა** და დასახელებულ სიტყ-
ვებს გადამკვეთი მნიშვნელობები აქვთ. ჩვენთვის განსაკუთრებით ფა-
სეულია ის, რომ ყოველ მოცემულ შემთხვევაში კონტექსტს **მისწრაფე-
ბის** სწორედ ის მნიშვნელობა შეეფერება ყველაზე უფრო მეტად, რო-
მელშიც **ინტერესების, მიზნის, სურვილის, სულისკვეთების** სემანტიკაა
წინ წამოწეული — ფაქტობრივ ის სიტყვა, რომელთანაც **მისწრაფება**
არის დაწყვილებული.

სწრაფვა, მისწრაფება, ლტოლვა (გარკვეულ შემთხვევებში **მიდრე-
კილება**) სინონიმური სიტყვებია. სინონიმური მნიშვნელობები აქვთ
სათანადო ზმნურ ფორმებსაც. ამ სიტყვათა სინონიმურობა და კონ-
ტექსტში ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობა ზეპირსა თუ წერით
მეტყველებაში ფართოდ არის გამოყენებული მეტყველების ერთფე-
როვნების თავიდან ასაცილებლად. მსგავს ენობრივ სიტუაციებში
გვხვდება **ისწრაფვის** და **მიისწრაფვის**, **მიისწრაფვის** და **მიილტვის**,
სწრაფვა და **ლტოლვა**, **მისწრაფება** და **მიდრეკილება**. მაგალითად:

ისწრაფვის/მიისწრაფვის: დმერთი თავად არის სრულყოფილება, ამიტომ იგი
არაფრისკენ არ ისწრაფვის (ფილოს. ისტ.); იღებო, როგორც მიხე-
ბი... არაფრისკენ არ მიისწრაფვის (იქვე).

მიილტვის/მიისწრაფვის: ემილი დიკინსონის მშფოთვარე სული ხომ მარ-
დიულუობისაკენ მიილტვოდა („თბილ.“); სული მიისწრაფვის
ზეგრძნობადი სამყაროსაკენ („ქელ სკოლაში“).

ლტოლვა/სწრაფვა/(წყურვილი): — თქვენ ამბობთ, რომ ყოველ ეპოქას ახა-
სიათებს გარკვეული ჟანრისადმი ლტოლვა. მიუხედავად ჟანრთა მრავალ-
ფეროვნებისა, მაინც რომლისკენ უფრო ამჩნევთ სწრაფვას 80-იანი წლე-
ბის თეატრს? („სკ. და ცხოვრ.“); რადგან ის სწრაფვა, ის ლტოლვა და
ბრძოლის წყურვილი ჩაინთქა, მოკვდა, არ არის მეტი (გ. კვარაცხ.).

მისწრაფება/მიდრეკილება: შენიშნულია, რომ აღნიშნული ნათესაობითი
ბრუნვის გამოყენებისადმი იჩენს მიდრეკილებას. ახალი ფორ-
მებისაკენ მისწრაფება ამ ძველის დამახასიათებელ თვისებადაა მიჩნე-
ული (დ. ჩხუბ.).

ასეთი უმტივიანეულო მონაცვლეობა ყოველთვის შესაძლებელი არ
არის, რადგან სიტყვათა სინონიმურობა არ ნიშნავს მათი მნიშვნელო-
ბის აბსოლუტურ იგივეობას და, შესაბამისად, კონტექსტში ურთიერთ-

ჩანაცვლების სრულ თავისუფლებას. როგორც შენიშნავენ, სავსებით ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ორი სიტყვა ენაში ფაქტობრივ არ არსებობს. სინონიმური სიტყვები ერთმანეთისაგან, ჩვეულებრივ, გამოყენების სფეროთი, შინაარსობრივი ნიუანსით, სტილისტიკურ-ემოციური შეფერილობით ან სხვა სიტყვებთან სემანტიკური შეხამებადობის სხვადასხვა უნარით გამოირჩევიან. ეს სხვაობა ზოგჯერ ნაკლებ საგრძნობია, ზოგჯერ კი — აშკარა და გამოკვეთილი.

სიტყვის ბუნების გაუთვალისწინებლობა და მისი არაბუნებრივ კონტექსტში გამოყენება სტილისტიკურ დარღვევათა წყარო ხდება. მაგალითად:

...ლ ტ ო ლ ვ ა იღვიძებს გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ადამიანი სრულად მომწიფდება სქესობრივად; ამგვარი მისწრაფება ჯერ არავითარ შემთხვევაში არ არის სიყვარული („სკ. და ცხოვრ.“).

ლტოლვას მოცემულ კონტექსტში **გატაცების** მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სწორედ ეს უკანასკნელი შექმნიდა მასთან ბუნებრივ წყვილს: ამგვარი **გატაცება** ჯერ კიდევ არ არის სიყვარული. შეიძლება **მიდრეკილება**ც გვეხმარა, **მისწრაფება** კი — არა.

სხვა მაგალითი:

ძველ ბერძნულ ფილოსოფიას თითქმის ყოველთვის ახასიათებდა შეგარძნებებისა და აზროვნების ერთმანეთისაგან გამოყოფისა და მათი დაპირისპირების ტენდენციი. დაწყებული იონელებიდან დამთავრებული არისტოტელემ, იყოსწრაფვა შეგარძნებების დათრგუნვის და აზროვნების როლის წინ წამოწევისა (თ. კუკ.).

ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ენობრივი თვალსაზრისით წინადადებაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ყურადღებას მიაქცევთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ **ტენდენციის** სინონიმად ამ კონტექსტში **მიდრეკილება** აჯობებდა.

მიუხედავად იმისა, რომ **სწრაფვა**, **მისწრაფება**, **ლტოლვა**, **მიდრეკილება** დიდად არის დაშორებული თავდაპირველ სემანტიკას და ბევრი ახალი მნიშვნელობა აქვს შეთავსებული, ზოგადად მაინც შეიძლება გამოიყოს ის არსებითი და საერთო, რაც აერთიანებს და განასხეავებს დასახელებულ სახელებს ერთმანეთისაგან და აგრეთვე იმ სახელები-საგან, რომელთა ფუნქციასაც ისინი ასრულებენ კონტექსტში.

სწრაფვა, **მისწრაფება** (**მისწრაფება** უფრო მეტად, ვიდრე **სწრაფვა**) აქტიური, გაცნობიერებული, გააზრებული, წინ, მომავლისკენ მიმართული მიზანდასახული მოქმედებაა გონის მიერ ისაწყისით. ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ერთი გამონათქვამი, რომელიც კარგად წარმოაჩენს **სწრაფვის**

სემანტიკას: „ისე როგორც არისტოტელესთან, ლაიბნიცთანაც განვი-
თარება მიზნობრივი ხასიათისაა. სულისათვის, მონადებისათვის არსე-
ბითია **სწრაფვა, მიზანდასახული მოძრაობა**, სადაც მიზეზი და მიზანი
ჰარმონიაშია“ (ფილოს. ისტ.). მიაქციეთ ყურადღება: **სწრაფვა — მი-
ზანდასახული მოძრაობა**.

ამიტომაც არის, რომ იმ **სურვილს, მიზანსა** თუ **ინტერესებს**, რო-
მელთა ფუნქციითაც **მისწრაფება** იხმარება, მაღალფარდოვნების სტი-
ლისტიკურ ნიუანსთან ერთად რისამე მისალწევად აქტიური
ქმედების, მცდელობის შინაარსობრივი ნიუანსიც ახლავს,
რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას უპირატესობას ანიჭებს
კიდევ დასახელებულ სიტყვებთან შედარებით.

ლტოლვაც აქტიური ქმედებაა, ის იმ სფეროს განეკუთვნება ადა-
მიანის ცნობიერებისა, რომელშიც თითქოს ფიზიკური — ძლიერი, მაგ-
რამ გაუცნობიერებელი, ინსტინქტური საწყისი ჰარბობს.

თუ **სწრაფვა, მისწრაფება** და **ლტოლვა** სუბიექტის აქტიურ ქმედე-
ბას გულისხმობს, **მიდრეკილება** პოტენციაა, საგანში იმთავითვე კო-
დირებული, რომელიც შესაფერის პირობებში უსათუოდ გამოძქვად-
ნდება (მაგ.: „მიშველე, დედა, ხეს ვხედავ და ვაწყდები შინას გათეთ-
რებისკენ **მიდრეკილი** დაღლილი სისხლით“ — ლ. სტურ.).

მრავალი მნიშვნელობით გამოყენებამ და ფართოდ გავრცელებულო-
ბამ გაცვითა და გააბუნდოვანა ამ სიტყვათა სემანტიკა, რომელიც
მთლად ნათელი და გამოკვეთილი არასოდეს ყოფილა. ამან გარკვეულ-
წილად მათ სინტაქსურ უნარზედაც მოახდინა გავლენა, რადგან იმ
სიტყვათა სინტაქსური ყალიბი შეიწყვეს, რომელთა მნიშვნელობითაც
იხმარებოდნენ **კონტექსტში**. ის სინტაქსური ურთიერთობები, რომ-
ლებსაც ზმნები **ისწრაფვის, მიისწრაფვის, ილტვის, მიილტვის, მიდრ-
კება** და ამ მოქმედებათა სახელები (**სწრაფვა, მისწრაფება, ლტოლვა,
მიდრეკილება**) ქმნიან, მხოლოდ -კენ-თანდებულისანი კონსტრუქციით
არ ამოიწურება — ენაში სინონიმური კონსტრუქციებიც დასტურდება.

ვიდრე უშუალოდ კონსტრუქციათა განხილვაზე გადავიდოდეთ,
შევნიშნავთ, რომ **ისწრაფვის, მიისწრაფვის, ილტვის, მიილტვის** ზმნე-
ბი დრო-კილოთა მხოლოდ აწმყოს წყებაში იხმარება, სხვა საუღლე-
ბელი ერთეულები თანამედროვე ქართულში მათ არა აქვთ (მდრ.
ძველი ქართული **ისწრაფა** და **სივლტოლაჲ იყუშია**. ეს უკანასკნელი
ორგანული წარმოების **ივლტის** ფორმას ენაცვლებოდა ნაპყო ძირი-
თადში); **მიდრკება** დრო-კილოთა სამივე ჯგუფის ფორმებს აწარმოებს
(მიდრკება, მიდრკა, მიმდრკალა), ოღონდ ასპექტის სისტემის ცვლას-
თან დაკავშირებით ზმნურ ფორმათა სემანტიკური გადააზრების გამო
აწმყოს ფორმამ ახლად ჩამოყალიბებულ მყოფადის წრეში გადაინა-
ცვლა — **მიდრკება** ფორმამ მომავლის გაგება შეიძინა, აწმყოს ადგი-

ლი კი ზმნის უღვლილებების სისტემაში ცარიელი დარჩა. ენაში ამჟამად არც საჭიროება არსებობს მისი გამოყენებისა. მიდრეკება ძველი ქართულის რელიქტია, ახალ ქართულში მას გადაიხრება ცვლის (იხრება, გადაიხრება, გადაიხარა, გადახრილა).

ზმნისწინის (პრევერბის) გამო მიისწრაფვის და მიილტვის ფორმებით გმოხატული ზმნური მოქმედების სივრცობრივი მიმართულება უფრო მკვეთრი და ხელშესახებია, ვიდრე სათანადო უზმნისწინა ისწრაფვის და ილტვის ფორმებისა (ეს შინაარსობრივი ნიუანსი უფრო მეტად საგრძნობი იყო ძველ ქართულში). იგივე შეიძლება ითქვას მოქმედების სახელების უზმნისწინო (სწრაფვა, ლტოლვა) და ზმნისწინიანი (მისწრაფება)¹³ ვარიანტების შესახებაც.

დასახელებული ზმნები ენაში იხმარება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით:

1. დავიწყით ისეთი შემთხვევებით, როცა ზმნებს კონტექსტში პირდაპირი მნიშვნელობა აქვთ. ზმნის პირდაპირ მნიშვნელობას კონკრეტული საგნის სახელები შეეფერება შესიტყვების წევრებად.

ა) ისწრაფვის, მიისწრაფვის

ისწრაფვის, მიისწრაფვის და სწრაფვა, მისწრაფება საერთო ფუძის მქონე ლექსიკური ერთეულებია. ეგვევ ფუძე გამოიყოფა ზედსართავში სწრაფი, რომელიც ქეგლ-ის მიხედვით განიმარტება როგორც ჩქარი, მალი, მარდი¹⁴.

13 ძველ ქართულში ვლტოლა ფორმის გვერდით იშვიათად სივრცობრივი თვალსაზრისით ორიენტირებული მივლტოლა ფორმაც დასტურდება. ახალ ქართულში იყო ცდა მისწრაფების სინონიმად მივლტოლვა სიტყვის გაიცოცხლება-დამკვიდრებისა, მაგრამ მას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. მაგ: „ქიდევ სცადა... ავაგმა [გვირგვინოსნის ხელში ჩაგდება], მაგრამ ვერ შეძლო: მაკარად დახვდნენ ქედმაღალი ამგვარ მივლტოლვას“ — ვ. ბარს. (იხ. ქეგლ-ი, ტ. V).

რაც შეეხება სიტყვა მისწრაფება-ს, იგი -ებ სუფიქსით გართულებული ფორმაა. ბუნებრივი წარმოების პირობებში მიისწრაფვის ზმნის მოქმედების სახელად (მასდარად) *მისწრაფვა იყო მოსალოდნელი: ისწრაფვის — სწრაფვა, მიისწრაფვის — *მიისწრაფვა (მდრ.: იმაღვის — მაღვა, დამაღვის — დამაღვა. ავრ. ძვ. ქართულის: ივლტრ — ვლტოლა, მივლტის — მივლტოლა).

14 ს. ა. ბ. ა. ს. „სიტყვის კონის“ მიხედვით, სწრაფვა — სიმაღვა; სწრაფი — სიქეჟაფის მოქმედი. ძველ ქართული ენის ადრინდელ ძეგლებში ეს ფუძე ხანის გარეშეც იხმარება. ხანაინი ფორმები უფრო ძველ უსანო ფორმებთანაა გააზავნილი თ. ა. ბ. უ. ლ. ა. მ. ს. „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“. მაგ. ასე: სწრაფა იხ. წრაფუ; სწრაფი იხ. წრაფი. მაგ.: „იწრაფა (=იჩქარა) და გარდამოვდა: ლ 19,6 DE. მდრ. ისწრაფა: ექვე C.

აქვე შევნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართულის ვინით გართულებული ფუძეები სწრაფვა, ისწრაფვის, მიისწრაფვის სინონიმური მნიშვნელობის მქონე ლტოლვა, ილტვის, მიილტვის ფორმათა ანალოგიის შედეგი ჩანს. ძველ ქართულში უკონო წრაფა/სწრაფა, იწრაფის / ისწრაფვის, მიიწრაფის/მიისწრაფის ფორმები დასტურდება.

აჩქარება-გაშურების სემანტიკა ძვეს ზმნებში **ისწრაფვის**, **მიისწრაფვის** (მო-ზმნისწინიან ფორმებს აუცილებელი შემთხვევების გარდა არც მსჯელობაში და არც ილუსტრაციებში ცალკე არ გამოვყოფთ). მაგალითად:

ისწრაფოდა არმაზისაკენ ხვარამზე ქალი (ვ. ბარნ.); ისწრაფოდა ვაჟაკი გამიჯნურებული, ჭაბუკივით ჩქარობდა, სულმოკლეობდა (ვ. ბარნ.); აშოტი არტანუჯისაკენ მიისწრაფოდა (ლ. სან.); კვენსიდნენ დიაცები, დნოდნენ ბალღები, მაინც ტაძრისკენ მიისწრაფოდა ხალხი (ვ. გამს.); მზე ისევ ჩახჩახებდა, მავრამ ცაზე, დასავლეთისაკენ უფრო დიდრონი ღრუბლები მიისწრაფოდნენ (გ. ფანჯ.); მოვარეს ისევ აედგა ფეხი და პატარა ღრუბლისკენ მიისწრაფოდა (გ. ფანჯ.); ტაღლები ნაპირისაკენ მოისწრაფვიან (ა. სულაქ.).

მოყვანილი მაგალითების მიხედვით, **მიისწრაფვის** ზმნური ფორმა, რომელიც გარკვეულ მხარეს მიმართულ კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას — სივრცეში სწრაფ გადაადგილებას გამოხატავს, შესიტყვებას -კენ-თანდებულისა სახელებთან ქმნის: **მიისწრაფვის** (=მიიწვეს, მიეშურება, მიიჩქარის) **არტანუჯისაკენ**, **ტაძრისაკენ**, **დასავლეთისაკენ**, **ღრუბლისაკენ**, **ნაპირისაკენ**.

ისწრაფვის ზმნურ ფორმას კონტექსტში, ჩვეულებრივ, **მიისწრაფვის** ზმნის მნიშვნელობა აქვს — **სემანტიკურად** ისიც გარკვეულ მხარეს მიმართულ მოქმედებას გამოხატავს (თუმცა ისე მკვეთრად არა, როგორც **მი-ზმნისწინიანი მიისწრაფვის**) და -კენ-თანდებულისა კონსტრუქციის ქმნის: **არმაზისაკენ ისწრაფოდა** ხვარამზე ქალეგევე ზმნა შეიძლება **ეშურება**, **ჩქარობს** მნიშვნელობითაც იყოს ნაზმარი. ამ შემთხვევაში ის ისეთ მიკროკონტექსტში იღებს მონაწილეობას, რომელიც თავისუფალია ლოკალური მიმართებისაგან: **ისწრაფოდა** ჭაბუკი გამიჯნურებული (შდრ. საერთო ზმნური გარემოცვა, რომელიც ასევე თავისუფალია სივრცობრივი მიმართებებისაგან: **ჭაბუკივით ჩქარობდა**, **სულმოკლეობდა**).

დასახელებული პირდაპირი მნიშვნელობით იხმარებოდა **ისწრაფვის**, **მიისწრაფვის** ზმნები ძველ ქართულში. მაგალითად:

იწრაფონ ზღუად კერძო: ნაუმ. 2,515; და ისწრაფა აბრაჰამ შესვლად კარვად სარაჰსსა: დაბად. 18,6—716.

15 მაგალითისათვის იხ. ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 740.

16 მაგალითისათვის იხ. არნ. ჩიქოზავა, მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956, გვ. 15.

მიიწრაფა კარად ეკლესიის: იბტ. 116,6; მიიწრაფე სახიდ შენ-
და: ი, ზირ. 35,1517.

უთანდებულო (კარვად, კარად, სახიდ) და თანდებულიანი (ზღუად
კერძო) ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმები ძველ ქარ-
თულში ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა.

დღეს **ისწრაფვის**, **მიისწრაფვის** ზმნათა პირდაპირი, ნომინაციური
მნიშვნელობით გამოყენების არე ძალზე შეზღუდულია (თუმცა ზო-
გი მწერლის ნაწერებში ამკარად შეინიშნება მათი გაცოცხლება-გა-
აქტიურების ცდა), ძირითადად ისტორიული ხასიათის მასალაში
გვხვდება და წმინდა სტილისტიკური ფუნქცია აქვს — არქაულობისა
და მღალღარდოვნების ელფერს სძენს კონტექსტს. **ისწრაფვის**, **მი-
ისწრაფვის** ზმნათა მაგივრობას კი ენაში ასევე მიზანდასახული ქმე-
დების შინაარსობრივი ნიუანსის მქონე **მიიჩქარის**, **მიეშურება**, **მი-
ემართება**, **მიიწევს** ზმნები ეწევა (შდრ.: „საით მიემართება ღრო?“ —
გ. კვარაცხ.).

ბ) ილტვის, მიილტვის

ილტვის და მისგან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებს — **ილტვის**,
ლტოლვა თანამედროვე ქართულში **ისწრაფვის**, **ესწრაფვის**, **მიისწრა-
ფვის** ზმნათა მნიშვნელობა აქვთ.

ქველ-ში ამ სიტყვათა ის მნიშვნელობებიც არის დასახელებული,
რომლებიც ძველ ქართულში დასტურდება — ძველ ქართულში კი მათ
მცირედ განსხვავებული ბგერადობა (**ივლტის**, **ევლტის**, **ვლტოლა/სივ-
ლტოლა**) და დიამეტრულად საწინააღმდეგო მნიშვნელობა ჰქონდათ.
ამ პერიოდის ძველთა მიხედვით, **ვლტოლა** განიმართება როგორც
„გაქცევა“; მოგვიანებით კი — „განშორება“; „განრიდება“; გადახვე-
წა“¹⁷. მაგ.: „რაჟამს იხილოთ იერუსალმისა გარე-მოდგომილი ერი,
მაშინ გულისხმა ყავთ, რამეთუ მოახლებულ არს მოოჯრებაჲ მისი. მა-
შინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, **ივლტოდედ მთად**“: ლ 21,21
(=გაიქცნენ მთაში)¹⁸.

ძველი მნიშვნელობით არის ნახმარი **ელტვის** ზმნა ნ. ბარათაშვი-
ლის ერთ-ერთ ლექსში: „ძნელი არის მარტოობა სულისა, მას **ელ-
ტვიან** სიამენი სოფლისა“ (=გაუბრებია), თუმცა იმავე პოეტის სხვა
ნაწარმოებში პრევერბიან **მოილტვის** ფორმას ჩვენთვის ბუნებრივი
„მოისწრაფვის“ მნიშვნელობა აქვს. შდრ.: „როს მკმუნვარება შემომე-

17 მაგალითისათვის იხ. ი. აბულაძე, ძველ-ი (მისწრაფა, მიწრაფა).

18 იხ. აგრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი,
თბ., 1948; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

19 მაგალითისათვის იხ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული
ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბ., 1982.

სევის, შენდა მოვილტვი განსაქარებლად“ (= შენკენ მოვისწრაფვა, მოვეშურები).

თანამედროვე ქართულში ილტვის/ლტოლვა სიტყვათა გამოყენება ძველი მნიშვნელობით ძალზე იშვიათია და მხოლოდ სტილისტიკურადანიშნულებით არის გამართლებული (შდრ. მაგ.: „ალბათ, ნამ მისგან რაისთვის ილტვის?“ — ა. კალანდ.).

მნიშვნელობა არ უცვლია ილტვის ზმნისაგან ნაწარმოებ ლტოლვილს (ძვ. ქართულით ვლტოლვილი). იგი თანამედროვე ქართულშიც გაქცეულს, გადახვეწილს ნიშნავს („თქვენგან გამობილი, თქვენგანთ ლტოლვილი ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევიფარეთ“ — ილია) და ამ თვალსაზრისით სემანტიკურ წინააღმდეგობას ქმნის საერთო ძირის მქონე ილტვის, ელტვის, ლტოლვა სიტყვებთან. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა, როგორც ითქვა, ისწრაფვის, ესწრაფვის, მიისწრაფვის, სწრაფვა, მისწრაფება ერთეულებით განისაზღვრება (ამგვარმა შინაარსობრივმა გადაწევამ ილტვის ფუძის მქონე სიტყვების, როგორც ლექსიკური ერთეულების, მოხმარების სფეროს ერთგვარი შეზღუდვა გამოიწვია).

ილტვის ზმნის პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები თანამედროვე ქართულში არა გვაქვს, თუმცა თეორიულად მის გამოყენებას ხელს არაფერი უშლის.

მიილტვის ზმნური ფორმა ისწრაფვის, მიისწრაფვის ზმნათა მსგავსად პირდაპირი, არაფიგურალური მნიშვნელობით იშვიათად და მხოლოდ სტილისტიკურად შეფერილ კონტექსტში იხმარება. მაგალითად:

ხალიფატის საომარ ძალთა უდიდესი და უსაჩინოესი ნაწილი-თოქმის ყოველ წელს სომხეთისა და საქართველოსკენ მოილტვოდნენ (ლ. სანიკ.); იქნებ ისინიე ჩვენებრ ქრისტეს საფლავის დასახსნელად მიილტვიანთ მალესტიინოსაკენ (ლ. სანიკ.); [ამოტ ბაგრატიონი] მესხეთისაკენ მიილტვოდა სეფე-წულებით და მცირე ამალით (ლ. სანიკ.).

შდრ.: სპარსელები საქართველოსკენ მოისწრაფვიან. უროცხე მხედრობას წინ მიუძღვის ახალგაზრდა შაჰინ-შაჰი პეროზი (ლ. სანიკ.); ამოტი არტანუჯისაკენ მიისწრაფოდა (ლ. სანიკ.).

მიილტვის და მიისწრაფვის ზმნურ ერთეულთა ლექსიკური იგივეობა მოყვანილი მაგალითების მიხედვით ექვს არ იწვევს. არც იმ სემანტიკური გადაწევის მექანიზმი ჩანს უსაფუძვლო და მოულოდნელად, რამაც ილტვის (= გარბის) ზმნა ისწრაფვის, მიისწრაფვის (= იჩქარის, მიიჩქარის; მოგვიანებით — მიეშურება, სწრაფად მიდის) ზმნათა სინონიმურ რიგში ჩააყენა.

საილუსტრაციოდ მოხმობილ მასალაში მიილტვის გამოხატავს კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც ასევე კონკრეტულ საგნებს — ქვეყ-

ნის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულებს მოემართება -კენ-თანდებულიანი ფორმა ამ ტიპის შესიტყვეებებში ერთადერთი და მართებული ფორმაა.

გ) მიდრკევა

მიდრკევა, მიდრეკილი, მიდრეკილება საერთო ფუძის მქონე სიტყვებია. **მიდრკევა** ქეგლ-ში კვალიფიცირებულია როგორც მოძველებული სიტყვა, რომლის პირდაპირი მნიშვნელობაა: გადაიხრება, გადაიხნიჭება, გადაიდრიკება, მიიდრიკება. სემანტიკურად ზმნისთვის შეუძლებელი არ იყო კონტექსტში არც აბსოლუტურად ხმარება და არც -კენ-თანდებულიან სახელთან გამოყენება. ამ თვალსაზრისით იგი ისეთ-სავე ვითარებას გვიჩვენებდა, როგორც **ისწრაფვის** ზმნა. თანამედროვე ქართულში, როგორც ითქვა, იშვიათად იხმარება, ისიც სტილისტიკურად შეფერილ კონტექსტებში. მაგალითად:

მზე რომ მიდრკევა დასაჯლისკენ, ცისკრის ნათელი მას მღუშარედ უმზერს თვალბში (ლ. ლოლოზ. და თ. ჩხენკ., თარგმ.).

გადახრის, მიბრუნების მნიშვნელობა აქვს იმავე ფუძისაგან ნაწარმოებ **მიიდრეკს** ფორმას, რომელიც -კენ-თანდებულიან შესიტყვეებებს ქმნის:

ეზოსმოძღვარმა ზოსიმემ ეს ამბავი მახარას ამცნო, მან ქონდაქართუხუცესოსაკენ მიიდრიკა თავი და უჩუქჩუღა (ყ. გამს.); მოღუშულმა [მამამზე ერისთავმა] ერთბაშად კისერი მიიდრიკა გვერდით მიმავალ მხედროსაკენ (ყ. გამს.).

ამრიგად, პირდაპირი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევაში **ისწრაფვის, მიისწრაფვის, მიილტვის, მიდრკევა (მიიდრეკს) ზმნები** ადგილის სემანტიკის სახელებთან -კენ-თანდებულიან კონსტრუქციებს ქმნიან.

2. ძირითადი სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც **ისწრაფვის, მიისწრაფვის, ილტვის, მიილტვის** ზმნები ქმნიან გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას, -კენ-თანდებულიანი კონსტრუქციებია. ამ კონსტრუქციათა სახელური ნაწილი, ჩვეულებრივ, აბსტრაქტული ან სემანტიკურად მათთან გათანაბრებული სახელებია. გვხვდება კონკრეტული საგნის სახელებიც, თუმცა შესიტყვეების ფიგურალური მნიშვნელობა ამ შემთხვევაშიც ექვს არ იწვევს.

ისწრაფვის + -კენ-თანდებულიანი სახელი

თუ... მე გავიქე მასთან, ისე ვისწრაფო მისკენ, ვით მიწის სული და წყლის სული მიფრინავს ცისკენ ლურჯი კლდეებით? (ა. კალანდ.); რაღაც იმედო-

რაღაც ნუგეში ხმის გამცემია ამ სიჩუმეში და შეუტყობლად ვისწრავთ მისკენ! (ა. კალანდ.); [ამ] გზით ფილოსოფიის განვითარება აბსოლუტური კეშმპარიტებისასავე ისწრავთ (ფილოს. ისტ.); იგი [უმადლესი ერთი] დასრულებული საწყისია, ამიტომ არაფრისაკენ არ ისწრავთ. სიმრავლე ყოველთვის ისწრავთ რაღაც უფრო სრულყოფილისა და დასრულებულისაკენ (თ. კუკ.); ყველა საგანი რაღაცისაკენ ისწრავთ, რომ მასთან შეერთებით, შერწყმით სრულყოფილი მთელი გახდეს. ღმერთი უნაკლოა, ღმერთი თავად არის სრულყოფილება, ამიტომ იგი არაფრისკენ არ ისწრავთ, არაფერს არ მიელტვის (ფილოს. ისტ.).

მიისწრავთ + -კენ-თანდებულობანი სახელი

ვოლტერი თვითონ მიისწრავთ და არისტოკრატიზმისაკენ (ფილოს. ისტ.); პლატონის იდეა არის მიზანი ცვალებადი საგნებისა. არასრული საგნები სრული იდეებისკენ, როგორც მიზნისკენ მიისწრავთ, ამიტომ ისინი იცვლებიან; იდეები კი... არაფრისკენ არ მიისწრავთ, მათ არაფერი აქვიათ (ფილოს. ისტ.); ადამიანის აზროვნება მიისწრავთ სისტემატრობისაკენ (ფილოს. ისტ.); [მრგვალი ფორმება] ყოველთვის მაქსიმალური სიმარტივისაკენ მიისწრავთ („საბჭ. ზელოვ.“); ამიტომ ერიდება იგი ყველაფერს ჩვეულებრივს, მიისწრავთ არაჩვეულებრივისაკენ, მასშტაბურობისაკენ, გრანდიოზულისაკენ („ახ. კომ.“); კარგი იქნება... შენი სიცოცხლე სიამოვნებაში გაატარო. ...დიან, ამისკენ მიისწრავთ, ამისკენ (ი. იაშვი, თარგმ.).

ილტვის + -კენ-თანდებულობანი სახელი

მაინც რა არის ეს სისწრაფე, რომლისკენაც ასე ილტვიან ადამიანები? („ლულო“); რის დამტყიცება შეეძლო ამ ორი უსუსური არსების აღერსა, ერთმანეთისაკენ რომ ასე ილტვოდნენ? („საუჩუკ“); დღეს საქართველო ილტვის ზეცისკენ (მ. მაჭავ.).

მიილტვის + -კენ-თანდებულობანი სახელი

ემილი დეკინსონის მშფოთვარე სული ზომ მარადიულობისაკენ მიილტვოდა („თბილ.“); სულ სხვა „გზებით და გზებით“ მიილტვოდა ლაშა. გიორგი „ზენაარისკენ“ (ლ. სანია.); ეს ყმაწვილი კი ჩვენი სიყვარულის ნაყოფი გახლავთ. ჩემი და მარგარიტას ნაწილი მიილტვის დეღამიწისაკენ („ცისკ.“); იტალიელები მუდამ მიილტვოდნენ დაცვიით თამაშისაკენ („ლულო“).

3. ისწრავთ ძველ ქართულში მონაწილეობას იღებდა ინფინიტიურ კონსტრუქციებში, რომლებსაც, როგორც ცნობილია, გარკვეული ტიპის ზმნები ქმნიან მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმასთან ერთად. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: **ისწრავთ მსახურებად** („ესრეთ ყოველნი წყალნი ისწრავდეს ბრძა-

ნებასა მას შემოქმედისასა მსახურებად“: ექ. დღ. 80, 25), **ისწრაფა მი-
ახლებად** („ისწრაფა მან მიახლებად ქრისტესა“: აბო, 65,6)²⁰ და მისთ.

თანამედროვე ქართულში ინფინიტიური კონსტრუქცია ამ სახით (ზმნა+მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმა) არა გვაქვს, მაგრამ იხმარება ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით მისი ფარდი, ეკე-
ვალენტური კონსტრუქცია, რომელსაც ქმნის ერთმანეთთან პიპოტაქ-
სურ დამოკიდებულებაში მყოფი ორი ზმნური ფორმა **გთხოვთ დამი-
ნიშნოთ** ტიპისა (შდრ. გთხოვთ, რომ დამინიშნოთ). ამ ტაპის მოდელს
ძირითადად მოდალურ ზმნათა თხრობითი კილოს ფორმები ქმნიან
მეორე ზმნის კავშირებითი კილოს (ან II თურმეობითის) ფორმებთან
ერთად. **გთხოვთ დამინიშნოთ** ტიპის კონსტრუქციას ძველი ქართულის
ინფინიტიური კონსტრუქციისაგან (**ისწრაფის მსახურებად, დაჯდა წე-
რად**) განსხვავებით (მსგავსება-განსხვავების ხაზგასასმელად) სპეცია-
ლურ ლიტერატურაში ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქ-
ციას უწოდებენ²¹.

ინდოევროპულ ენათა სინამდვილეში შემუშავებული ტერმინი —
ინფინიტიური კონსტრუქცია (прошу назначить ტიპისა) ქართულისა-
თვის ორსავე შემთხვევაში პირობითია და სამეცნიერო ლიტერატუ-
რაში მისი გამოყენება ამ არსებითად განსხვავებულ სინტაქსურ კონს-
ტრუქციათა ფუნქციურ-სემანტიკური იგივეობით (მსგავსებით) არის
გამართლებული. ჩვენც ამ პირობის გათვალისწინებით გამოვიყენებთ
მას.

მოვიყვანთ **ისწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნებით შედგენილ ე. წ.
ინფინიტიურ კონსტრუქციათა ნიმუშებს:

ისწრაფვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ისწრაფვის ხელი შეუწყოს
იმას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკებს უმაღ-
ლესი საბჭოები თანამიმდევრულად სრულყოფდნენ კანონმდებლობას („კომ.“); ნი-
ჭიერი მოსწავლე... ისწრაფვის მთლიანობაში შეიმეცნოს ბუნებისა და
საზოგადოების კანონები („სკ. და ცხოვრ.“); ...ყველა წარტილი ისწრაფვის
წრები საუფრთხსოვლო აღვილი და იმკვიდროს („საბჭ. ხელოვნ.“); ...ისინი ის-

²⁰ მაგალითებისათვის იხ. დ. ჩხუბიანი შვილი, ინფინიტივის საკითხისა-
თვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 39, 48.

²¹ ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ
ქართულში: ივე, VII, თბ., 1955; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, წინადადების მასდარული კონ-
სტრუქცია: პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრო-
მები, ტ. 19, თბ., 1966, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული ენა და მართლწერის ზოგაერ-
თი საკითხი, თბ., 1966, გვ. 92—95; ა. პ ა პ ი ძ ე, II კავშირებითის ნაკეთის ფუნ-
ქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქართული სიტყ-
ვის კულტურის საკითხები, წიგნი IV, თბ., 1981, გვ. 155—163.

წრადვიან იხსნან ყველა ქვეყნის მშრომელი შეიარაღებას ტერიტორიისაგან (სკკპ ისტ.); ვისწრადვით ახლებურად ავგათ თვითელი უზნის იმპ-პექტორის მუშაობა („კომ.“).

მიისწრადვის

ქურნალი ნიადე მიისწრადვის სწორედ ამ კონტენტუასიან ორჯანულ კევირში განიხილოს ჩვენი დროის... საკვანძო პრობლემები („კომომ.“); [ისინი] მიისწრადვოდნენ ეპოქათ შებმა... რელიგიაში (სსრკ ისტ., VII); მთავრები და ბოიარები მიისწრადვოდნენ განემტკიცებინათ საკუთარი სამფლობელოები (სსრკ ისტ., VII); თავიანთი შემოსავლის გასადიდებლად ისინი [ფეოდალები] მიისწრადვოდნენ ეპოქათ ახალი სამფლობელოები და ყმა გლეხები (მუა სოფ. ისტ., VI).

როგორც ითქვა, ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია (ისწრადვის **შეიმეცნოს, მიისწრადვის განიხილოს...**) რთული წინადადების შინაარსს ატარებს. **ისწრადვის** თავისი შემადგენლებით მთავარი წინადადების ფუნქციას ასრულებს, კავშირებითი კილოს (II თურმეობითის) ზმნა და მასთან დაკავშირებული წევრები კი — დამოკიდებული წინადადებისა. ენაში **ისწრადვის შეიმეცნოს** სინტაქსური კონსტრუქციის შინაარსობრივი ეკვივალენტიც გვხვდება რთული ქვეწყობილი წინადადების სახით. მაგალითად:

სამჭოთა მთავრობა... ისწრადვის, რომ საერთაშორისო საკითხები მოლაპარაკების გზით გადაიჭრას (სკკპ ისტ.); [ისინი] ისწრადვოდნენ, რომ თამაში კიევის „დინამოსთვის“ მიემაძათ („ლელო“).

მოყვანილ მასალაზე დაკვირვება ექვს არ იწვევს, რომ **ისწრადვის, მიისწრადვის** ზმნებს ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია ან რთული ქვეწყობილი წინადადება სჭირდება მაშინ, როცა იმას, რასაც ისწრადვიან, საგნობრივი ფორმა არა აქვს — არსებითი სახელი არ არის: ის ზმნური მოქმედებაა, რომელიც წინადადების იმ წევრის ფუნქციას ასრულებს, რომელიც სხვა შემთხვევაში პირდაპირი დამატება ან -კენ-თანდებულიანი სახელი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგალითად, რომელიმე **ისწრადვის დამკვიდროს** შინაარსობრივად იგივეა, რაც: **ისწრადვის დამკვიდრებას** (ეს ძველი ქართლისათვის საფსებით ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქცია იყო. შდრ.: „ვისწრადვით მონაგებთა შეკრებას“; მ. სწ., 225,8—9) ან **ისწრადვის დამკვიდრებისაკენ** (ეს უკანასკნელი სტილისტიკურად გაუმართლებელი შესიტყვებაა, თუმცა ამგვარი გამოყენების შემთხვევები თანამედროვე სიტყვათხმარებაში მრავლად დასტურდება).

ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციებში **ისწრადვის, მიისწრადვის** ზმნებს მოდალურობის შინაარსობრივი ნიუანსი აქვთ. **ვისწრადვით**

ახლებურად ავაგოთ უბნის ინსპექტორის მუშაობა, — ნიშნავს: **ცდილობთ, სურვილი გვაქვს, გვინდა ავაგოთ...** (თუმცა — ეს უკვე **ისწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნათა სემანტიკიდან გამომდინარე — **სურვილი და მონდობეა აქტიური**: გარკვეულ საქმიანობა-საც ვეწვევით საიმისოდ, რომ ეს სურვილი განხორციელდეს). შდრ.:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ცდილობს, რომ შეიარაღების შეზღუდვისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხები პატიოსანი და ზუსტად დაცული შეთანხმებების გზით წყდებოდეს („კომ.“).

ცდილობს მოდალური ზმნაა და მოყვანილ წინადადებაში ისეთ-სავე სინტაქსურ კონსტრუქციაში მონაწილეობს, როგორშიც **ისწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნები.

როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებისას **ისწრაფვის, მიისწრაფვის, მიილტვის** ზმნები -კენ-თანდებულიან კონსტრუქციებს ქმნიან. ამ კონსტრუქციებში დასახელებულ ზმნებთან ერთად ადგილის სემანტიკისა და მნიშვნელობით მათთან გათანაბრებული სახელები იღებენ მონაწილეობას: **ისწრაფვის, მიისწრაფვის** არმაზისაკენ; **მიილტვის** იერუსალიმისაკენ.

ზმნათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას ორი ძირითადი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს: -კენ-თანდებულიანი (ამ კონსტრუქციაში მონაწილეობას იღებენ აბსტრაქტული და მნიშვნელობით მათთან გათანაბრებული სახელები, იშვიათად — კონკრეტული საგნის სახელებიც) და ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია — **ისწრაფვის გააკეთოს** ტიპისა (=გაკეთებას **ისწრაფვის**). ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქცია შეიძლება პიპოტაქსური დამოკიდებულების წესით იყოს წარმოდგენილი — **ისწრაფვის, რომ გააკეთოს**.

4. **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება, მიდრეკილება**, რომლებიც მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარებიან, ძირითადად -კენ და -მი(-დმი)-თანდებულიან კონსტრუქციებს ქმნიან. ეს კონსტრუქციები ფუნქციურ სინონიმებად გვხვდება ერთსა და იმავე ენობრივ გარემოში. ასე მაგალითად: **სწრაფვა გამარჯვებისაკენ** და **სწრაფვა გამარჯვებისადმი**; **მისწრაფება მშვენიერებისაკენ** და **მისწრაფება მშვენიერებისადმი**; **ლტოლვა თავისუფლებისაკენ** და **ლტოლვა თავისუფლებისადმი**; **მიდრეკილება სიმსუქნისაკენ** და **მიდრეკილება სიმსუქნისადმი**.

გავეცნოთ საილუსტრაციო მასალას:

სწრაფვა + -კენ-თანდებულიანი სახელი

ძიება არ დამთავრებულა, უკეთესობისაკენ **სწრაფვას** ზღვარი არ უჩანს („თბილ.“); შემოქმედებითი საქმისი აღამაწში — ეს ყოველთვის წინ

სწრაფვაა, სწრაფვა უკეთესისაკენ, პროგრესისაკენ, სრულყოფისაკენ და, რასაკვირველია, მშვენიერებისაკენ ამ ცნებას ყველაზე მაღალი და ფართო გაგებით („კომ.“). [აჯობებდა: ამ ცნების საუკეთესო გაგებით]; ამ ხელოვნებისათვის უცხოა სწრაფვა ნატურალური, ნორმალური, ფორმების სილამაზისაკენ, ცხოვრებისეულისაკენ, ანტაქურ სამკაროს რომ ახასიათებს („ქელ სკოლაში“); ასეთივე პოეტური გამოთქმებთა აქობდა პლატონი წარმავლი საგნების სწრაფვას მარადიული იდეებისაკენ (თ. კუკ.); [ფილში „მწვერვალი“] არის ჰიმნი ადამიანის სწრაფვაზე გამარჯვებისაკენ, მიუწვდომელის წვდომისაკენ... („კომ.“); ახლის ქმნალობისაკენ [აჯობებდა: სიახლისაკენ] ეს სწრაფვა მომავალ წარმატებათა სწორი ორიენტირია („კომ.“).

სწრაფვა + -მი(-დმი)-თანდებულიანი სახელი

[ამ] უნიკალურ ქალაქს სიმბოლურად ლათინური ამერიკის ამ უდიდესი ქვეყნის მომავლისადმი სწრაფვა უნდა განესახიერებინა („კომ.“); უკანასკნელი წლების უსათურო ლექსები... „ზეშთა“-სთან შერწყმისა და მის საიდუმლოებათა ზიარებისადმი სწრაფვის მიმანიშნებელია („მნათ.“); [მისი] პოეტური აზროვნების სტილისათვის ნიშანდობლივია სწრაფვა მარადიული ზნეობრივი პრობლემებისადმი („მნათ.“); საბჭოთა ნაკრებმა გადამწყვეტ მომენტში ვერ გამოიჩინა მონდომება, ...სპორტული სულისკეთება; გამარჯვებისადმი სწრაფვა („ლულო“); ... ადგილის გარემოების ადგილზე მეტ-ნაკლები თავისუფლებით ხასიათდება, თუმცა კი შეინიშნება მისი სწრაფვა. განაპირა პოზიციისადმი (ქსკს, III); პრაქტიკულობა და გერგილიანობა [შერწყმული იქნება] დიდი მიზნებისადმი სწრაფვასთან („კომ.“); იგი ადამიანის მიერ საკუთარი ფესვების მარადიული სინედლისადმი სწრაფვაა („კომ.“).

მისწრაფება + -კენ-თანდებულიანი სახელი

...ქაჯ შეინიშნება მისწრაფება სტაბილიზაციისაკენ (ა. დავით.); თვით ასეთი საკითხების წამოჭრა ერის ისტორიაში საზრისიანობის ძებნისაკენ მისწრაფების ეტაპს ასახავს („მნათ.“); ეს ცალკეული საფეხურებია ამერიკის მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფების რეალიზაციის გზაზე („სახ. გან.“); ყველაზე მეტად ვერ ეგუებოდა მეცნიერის პიროვნებაში რეკლამისა და პოზიტივიზაციისაკენ მისწრაფებას („ლიტ. საქ.“); ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა აძლიერებდა აგრესიულ სახელმწიფოთა მისწრაფებას მსოფლიოს ძალდატანებით გადანაწილებისაკენ ომის საშუალებით (სკკპ ისტ.); დიდია მისწრაფება ჭეშმარიტი საოპერო ხელოვნებისაკენ („ლიტ. საქ.“).

მისწრაფება + მი(-დმი)-თანდებულიანი სახელი

მისი მისწრაფება ყოველ დადგაში ღრმა სოციალური განხორგადებისადმი, ახალი გამოქმნილი გადაწყვეტილების, სცენური ექსპერიმენტის ძიებისადმი... საფუძველს გაძლევს ეუწინასწარმეტყველოთ წარმატება მომავალ სექტაკლს („კომ.“); ... ძლიერია ფორმალური შეფასებისადმი ზო-

გერთს - პიპეტროფიული მისწრაფება („თბილ.“); ბრაზილიელთა სასახე-
ლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არანაკლებ ყურადღებას უთმობენ სანახაობიუ-
ემოციურ მხარეს, ვიდრე გამარჯვებისადმი მისწრაფებას (გ. ფანჯ.); ...ეს-
სიმბოლო, ჩვენი აზრით, გამოხატავს ბრაზილიელი ერის მისწრაფებას მო-
მავლისადმი... ჩვენი პლანეტის ხალხებთან თანამშრომლობისა და
მეგობრობისადმი („სამშ.“).

ლტოლვა + -კენ-თანდებულიანი სახელი

ლტოლვა სიმაღლისაკენ („თბილ.“—სათ.); თავისუფლები-
საკენ ლტოლვის თანდაყოლილმა ადამიანურმა თვისებამ ბუნებრივად გაიდგი-
და ბიჭში („ლიტ. საქ.“); იყოს რისხვეული სიწყინარისაკენ ლტოლვა
(გ. ყვარაცხ.); სახელისაკენ ლტოლვამ დამლუბა („სოფლ. ცხოვრ.“); ეს ჩვენ-
გადაგვიოთ ალბათ ვაჟს ჩუმი, ფარული, დაუშვრტიელი ლტოლვა ძველი, ნაცნო-
ბი ადგილები-საკენ“ („ცისკ.“); ითანეს პირადი ტემპერამენტის გარდა ამ-
ეპიზოდში ჩანს მისი ეპოქის ადამიანთა სულში გაჩენილი ახალი თვისებაც, — უც-
ნობი ჰორიზონტებისაკენ ლტოლვის, შორეულ სივრცეთა ბილგისა-
და აღმოჩენის სურვილს... (ა. ალექს.).

ლტოლვა + -მი-(-დმი)-თანდებულიანი სახელი

ამიტომ მეჩვენება სასაცილოდ რაღაც მიზნისადმი ლტოლვა (გ. ფანჯ.);
ბატარა მიშას ამ ტემპერამენტის თანამშისადმი ლტოლვას ისიც უპო-
რებდა, რომ ბიჭამისა... შესანიშნავი სპორტსმენი იყო („ლელო“); რაც უფრო
მეტია ლტოლვა უცხოურისადმი, მით უფრო ფართო ასპარეზი ექმნება
ქორეაქსის სამოქმედოდ („თბილ.“); ...განასახიერებდა მის ლტოლვას სინა-
თლისა და თავისუფლები-სადმი („კომ.“); ეს ფილმი რთული და რა-
ფინობიური ფორმით გვიჩვენებს ნივთებისადმი თავდავიწყებულ ლტოლ-
ვას („კომ.“).

მიდრეკილება + -კენ-თანდებულიანი სახელი

ცნობილია, რომ „მიდრეკილება დიდი ზეფრაზული ერთეულებს შექ-
მნისაკენ, ისევე როგორც, პირიქით, მოკლე წინადადებების გამოკეცებო-
საკენ, ავტორებისა და მხატვრული მიმართულებების სტილისტიკური მანერის
ერთ-ერთი არსებითი ნიშანია („მაცნე“); ბატონ გერონტის არასოდეს არ ჰქონია
ინტელექტუალურ-სულიერი ტირანიისკენ მიდრეკილება („ლიტ. საქ.“);
მთავარი ის არის, საერთოდ მოვსპოთ ახალგაზრდებში ამ დამლუბველი სენის-
კენ მიდრეკილებაო („ახ. კომ.“); ამ ასაკში შეიძინევა მიდრეკილება
სიმსუქნისკენაც („საქ. ქალი“); ყველაზე მეტი მიდრეკილება პუნ-
დოვანებისაკენ იგრძნობა [მის] ლექსებში („განთ.“).

მწიგნობრობისაკენ მიდრეკილი („ქელ სკოლაში“); [ბიჭები] ტექ-
ნიკური დისციპლინებისაკენ იყვნენ მიდრეკილნი („ქელ სკოლაში“).

მიდრეკილება + -მი(-დმი)-თანდებულიანი სახელი

...[ამ] ტენდენციის ერთგვარი გამოხატულებაა აგრეთვე მიდრეკილება შედგენილობის მიხედვით უფრო მარტივი აღმოსავლური სახელები **სადმი** (ქსკს); პრედიკატულ განსაზღვრებას არა აქვს მიდრეკილება ცვეთისადმი (ქსკს); მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან... მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ სახვითი ხელოვნებისადმი მიდრეკილება („თბილ.“); დღეგრძელობისადმი მიდრეკილების არსებობა ან არარსებობა ღამოკიდებულია მრავალი მემკვიდრეობითი მონაცემის ურთიერთმოქმედებაზე („კომ.“); ...გამოვყვანილთ ამა თუ იმ დაავადებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება („კომ.“); თავს იჩენს მარილიანი საკმლისადმი მიდრეკილება („საქქალი“).

ეს რჩევა გამოადგებოდათ იმათ, ვინც მიდრეკილია სიმსუქნისადმი („სოფლ. ცხოვრ.“).

წარმოდგენილი მასალა სრულად ასახავს იმ ვითარებას, რომელიც **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება, მიდრეკილება** სახელების სინტაქსურ კონსტრუქციითაა ვარიანტულ გამოყენებასთან დაკავშირებით შეინიშნება თანამედროვე სიტყვათხმარებაში. საკითხი, რომელიც მსგავს სიტუაციაში ისმის, პარალელურ ფორმათა ფუნქციურ მიმართებასა და, შესაბამისად, სალიტერატურო ენაში მათი ადგილის გარკვევას შეეხება. ჩვენც ამით დავიწყით. რა მიმართებაა -კენ და -მი(-დმი) თანდებულებს შორის ისტორიულად და რამ განაპირობა მათი სინონიმიზაცია?

ა) -კენ < კერძო სახელური წარმოშობის თანდებულია. როგორც ითქვა, ძველ ქართულში **კერძო** არსებითი სახელის მნიშვნელობითაც იხმარებოდა (=მხარე) და ზმნისართ-თანდებულის ფუნქციითაც (=მხარეს), ერთოდა მოქმედებით²² და ვითარებითი (მიმართულებით) ბრუნვის ფორმებს და მიმართულებასა და ადგილს გვიჩვენებდა. მაგ.: ივლტოდედ მთად კერძო (=გაიქცნენ მთისკენ, მთაში!).

თანამედროვე ქართულში -კენ თანდებული „მხოლოდ ნათესაობითა ბრუნვასთან იხმარება და მხოლოდ და მხოლოდ მიმართულებას გვიჩვენებს“²³.

მასალაზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ თავდაპირველი მნიშვნელობის გამო **კერძო** თანდებული მეტწილად ადგილის სემანტიკის სახელებს იყო მიჯაჭვული. -კენ ამ მხრივ შეზღუდული არ არის, ფორმის გაცვეთის გამო მისი მნიშვნელობა მთლიანად დაბნელებულია და იგი თავისუფლად იხმარება ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთანაც.

ბ) ზემოთ მოხმობილ საილუსტრაციო მასალაში **სიკეთისადმი, თა-**

²² მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების საერთო ფუნქციების შესახებ იხ. ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 226—234.

²³ ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

ვისუფლებსაღმი და მისთ. ფორმები -მი(-ღმი)-თანდებულის ფორ-
მებად იყო კვალიფიცირებული. ერთი და იმავე თანდებულის სხვადა-
სხვა ფორმით წარმოდგენის ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში არ-
სებულ ვითარებას ემყარება: ტრადიციულად -ღმი თანდებულად მიჩ-
ნეული ფორმა სინამდვილეში მიმართულებითი (ვითარებითი) ბრუნ-
ვის -დ ნიშნისა და -მი თანდებულისაგან შედგება²⁴.

მკვლევართა აზრით, -მი თანდებული მასალობრივად და ფუნქცი-
ურად იგივეა, რაც მი- ზმნისწინი²⁵. მი- ზმნისწინი მიმართულებას
გვიჩვენებს, ეგევე დანიშნულება აქვს -მი თანდებულსაც.

-მი თანდებულის ფუნქციით იხმარებოდა ძველ ქართულში მი
ელემენტის შემცველი რთული თანდებული მიმართ. მაგ.: „ვითარცა
სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემ-
სა შენღამი, ღმერთო“ (ფს. 41,2 C)²⁶. -მი და მიმართ თანდებულთა
ფუნქციური იგივეობა მოყვანილი მაგალითის მიხედვით ექვს არ
იწვევს.

მიმართ „ძვ. ქართულში ერთვის ნანათესაობითარ ვითარებითსა
და ვითარებითს, თანამედროვე ქართულში კი მხოლოდ ნათესაობითს.
ორივე შემთხვევაში აღნიშნავს მიმართულებას. მაგალითად:
ილოცა ღთისა მიმართ (კომ. 34,6); აღუტევებდა კმასა ცად მიმართ
(ანტიოქ. 86,7); [არისტო] უკან გამობრუნდა გინებითა და ლანძღვით
მასპინძლის მიმართ (დ. კლდ. 182)²⁷.

-მი ნანათესაობითარ ვითარებითს (მიმართულებითს) ერთვის:
სამშობლოსაღმი, მისღამი.

გ) მიმართულებას ძველ ქართულში უთანდებულო მიმართულე-
ბითი (ვითარებითი) ბრუნვაც გვიჩვენებდა. ეს მისი ძირითადი და ფარ-
თოდ გავრცელებული ფუნქცია იყო ძველ ქართულში. მაგ.: ივღტო-
დედ მთად!

ასე რომ, მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით სინონიმურ
რიგში დგება უ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ო მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ -
ვ ი ს ფ ო რ მ ა, კერძო > -კენ და მიმართ/-მი თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

კერძო და მიმართ თანდებულთა ურთიერთმიმართების თვალსაზ-
რისით საინტერესოა ჩვენებას იძლევა ი. აბულაძის „ძველი ქართული

²⁴ ქე გ ლ, ტ. III (იხ. -ღმი); ვ. თოფურიცა, ფონეტიკური დაკვირვებანი
ქართულურ ენებში: ენიკოპ-ს მოამბე, ტ. I, ტფ., 1937, გვ. 119. ვადმოხებდილია:
ვ. თოფურიცა, შრომები, III, თბ., 1979, გვ. 53.

²⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 268.

²⁶ მაგალითისათვის იხ. ირ. ვეშაბიძე, მიმართ, -მი, მომართ, -მო თანდე-
ბულები ძველ ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ლი-
ლოლოგიურ მეცნიერებათა სერია), ტ. 105, თბ., 1965, გვ. 64.

²⁷ ა. მარტირთსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 243.

ენის ლექსიკონი“, რომლის მიხედვითაც კერძო ზმნისართ-თანდებუ-
ლი განიმარტება როგორც: მხარეს; -კენ «მიმართ». მიმართ ტეხილ
კავებშია ჩასმული. როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია შენიშ-
ნული, ტეხილ კავებში (« ») ჩასმულია განსამარტავი სიტყვის სხვა
რედაქციაში დადასტურებული ლექსიკური (ალბათ ფუნქციური!) შე-
სატყვისი. ნიმუშად მოყვანილია ძველი აღთქმის რედაქციული ჩვე-
ნება:

აღიხილენ თუაღნი შენნი ზღუად კერძო ეს და: აღიხილენ თუ-
აღნი ზღუად მიმართ G II შჯ. 3,27.

ზღუად კერძო და ზღუად მიმართ თანდებულებიან ფორმებს მოცე-
მული კონტექსტის მიხედვით ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ
(=ზღვისკენ), ფუნქციური ეკვივალენტები ჩანს კერძო და მიმართ თან-
დებულები.

კიდევ ერთ რედაქციულ ჩვენებას დავიმოწმებთ სანიმუშოდ. ამ-
ჯერად კერძო-თანდებულებიან ფორმისა და მიმართულებითი ბრუნვის
ფორმის პარალელური ხმარების დასამტკიცებლად ქართული ოთხთა-
ვის მასალის მიხედვით:

რომელნი ჰურიასტანს იყვენ, ივლტოდედ მთად კერძო: ლ 21,21 C
და: რომელნი ჰურიასტანს იყვენ, ივლტოდედ მთად: იქვე, DE.

მიმართულების გადმოსაცემად უთანდებულო მიმართულებითი
(ვითარებითი) ბრუნვის ფორმისა და მიმართ-თანდებულებიანი ფორმის
გამოყენების წესი ქართულში საუკუნეთა მანძილზე მოქმედებდა. შე-
იძლებოდა მაგალითები მოგვეყვანა არცთუ შორეული წარსულიდა-
ნაც:

როს შუმუნვარება შემომესვეის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად
(ნ. ბარათ.). შდრ.: ვისა მივილტოდი, არამედ შენდა მიმართ მ. სწ.
17,9.

აწცა, რა თვალნი ლაქვარდს იხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრა-
ფვიან (ნ. ბარათ.).

დაფიქრებული ვიდექ სერზედა და ცათა მიმართ მზირალს ტრფობი-
თა... (ნ. ბარათ.).

ხაზგასმულ ფორმათა მნიშვნელობას თანამედროვე ქართულში
(ნეიტრალურ სიტყვათხმარებაში) კენ-თანდებულებიანი ნათესაობითი
გადმოსცემს: შენკენ მოვილტვი, შენკენ მოვისწრაფვი, ცისკენ მზი-
რალს.

-კენ თანდებულის მოხმარების სფეროს გაფართოებამ დაჩრდილა სემანტიკა -მი და მიმართ თანდებულებისა, რომლებიც, შესაძლოა, ზუსტი ფუნქციური შესატყვისები არც არასოდეს ყოფილან კერძო თანდებულისა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანისათვის მიმართ თანდებულის მნიშვნელობა მისკენ კი არ არის, არამედ მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით „შერბილებული“ მისკენსავით²⁸. თანამედროვე ქართულში ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო „შერბილებულია“. რამდენადაც -მი თანდებული ფუნქციურად მიმართულებითს ბრუნვასთან არის დაკავშირებული, — ამ ბრუნვის თავდაპირველი და ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე, — უფრო მეტად გამოხატავს მიმართულებას, ვიდრე მიმართ თანდებული; ამ მნიშვნელობით -მი(-დმი) უფრო ახლოს დგას -კენ თანდებულთან, ვიდრე მიმართ თანდებულთან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისე ახლოსაც არა, რომ -კენ-თანდებულის სახელებს ჩაენაცვლოს და მეტოქეობა გაუწიოს მას.

-მი და მიმართ თანდებულები ძირითადად სახელურ (უცხო სიტყვებით, საწყისებითა და მიმღეობებით შედგენილ) კონსტრუქციებში იღებენ მონაწილეობას და სახელების სინტაქსური მაკავშირების ფუნქციას ასრულებენ, შეიძლება ითქვას, ერთი სახელის მეორესთან მიმართულობას გვიჩვენებენ. მიმართულბის მნიშვნელობა მიმართულობაშიც ფიგურირებს, მაგრამ გაცილებით უფრო მკრთალად.

ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ მოვიგონებთ -მი თანდებულის გამოყენებას ისეთ შემთხვევებში, როგორცაა საკითხისადმი ინტერესი, საქმისადმი დამოკიდებულება, ერთი მხრით, და სამშობლოსადმი სიყვარულის ტიპის შესიტყვებები, მეორე მხრით.

თუ პირველ შემთხვევაში (საკითხისადმი ინტერესი) -მი(-დმი) აუცილებელი სინტაქსური მაკავშირების ფუნქციას ასრულებს, მეორე შემთხვევაში (სამშობლოსადმი სიყვარული) იგი ერთგვარი აზრობრივი „დამზღვევის“ როლში გამოდის — სახელის ობიექტობის ხაზგასამელადაა მოხმობილი. მოქმედების მიმართულობა ერთი საგნიდან მეორეზე ორსავე შემთხვევაში ივარაუდება: სიყვარული სამშობლოსაკენ არის მიმართული — სამშობლოს მიემართება; ინტერესი საკითხისაკენ არის მიმართული — საკითხს მიემართება.

როგორც უკვე ითქვა, სწრაფვა, მისწრაფება, ლტოლვა, მიდრეკილება უპირატესად ისეთი სიტყვების სინონიმებად იხმარება, როგორცაა სურვილი, მიზანი, სულიხკვეთება, ინტერესები, სიყვარული...

²⁸ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

ეს სიტყვები ცნობიერების სფეროს განეკუთვნებიან და ისეთ მოვლენებს ასახელებენ, რომელთა არსებობას სხვა საგნებთან აუცილებელი კავშირი განსაზღვრავს — **სურვილი** რაღაცის დაუფლებას, **მიზანი** რაღაცის მიღწევას გულისხმობს, **ინტერესები** — რაღაცის წვდომას, რაღაცის აღმოჩენის სურვილს...

ეს კავშირი სინტაქსურად **-კენ** თანდებულებითაა შეიძლება განხორციელდეს და **-მი(-დმი)** თანდებულებითაც.

ამასთან დაკავშირებით ენაში სამი შემთხვევა გამოიყოფა: ერთი, როცა თანდებულთა გამოყენება გაუცნობიერებლად ხდება. ამ დროს **-კენ** და **-მი(-დმი)**-თანდებულებიან შესიტყვებები ერთმანეთის მიმართ აზრობრივ დუბლეტებს წარმოადგენენ. მხედველობაში გვაქვს ასეთი შემთხვევა: „ძალიან დიდი **სიმდიდრისაკენ მისწრაფება** არაბუნებრივია“ (ფილოს. ისტ., გვ. 69) და: „[პლატონის აზრით] **სიმდიდრისადმი მისწრაფება** გაალატაკებს ხალხს“ (იქვე, გვ. 54); მეორე, როცა სუბიექტური ფაქტორის მოქმედების შედეგად ენის მომხმარებელი აშკარად ერთ-ერთ მათგანს (**-კენ** ან **-მი(-დმი)** თანდებულს) ანიჭებს უპირატესობას; და მესამე, როცა არჩევანი კონტექსტური მონაცემების — **სწრაფვა**, **ლტოლვა**, **მისწრაფება** სიტყვათა სემანტიკური აქტიურობის საფუძველზე კეთდება.

ჩვენთვის ეს უკანასკნელი შემთხვევა განსაკუთრებით ფასეულია, რადგან სწორედ მასში ირეკლება პარალელიზმის თავიდან აცილებას ენობრივი ტენდენცია, დამყარებული იმ განსხვავებულ ფუნქციურ-შინაარსობრივ ნიუანსებზე, რომლებიც **-კენ** და **-მი(-დმი)** თანდებულთა გამოყენებას ახლავს თანამედროვე სიტყვათმარებაში. სახელდობრ:

ა) რადგან **სწრაფვა**, **ლტოლვა**, **მისწრაფება** სუბიექტის აქტიური ქმედებაა, მიზანსწრაფული სვლაა რისამე მისაღწევად, მოქმედების პროცესულობის წარმოსაჩინად **-კენ**-თანდებულებიანი სახელის გამოყენება შესიტყვების წევრად ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით სავსებით გამართლებული ჩანს: **სწრაფვა**, **ლტოლვა**, **მისწრაფება** კემპარიტებისაკენ, მშვენიერებისაკენ, გამარჯვებისაკენ, მარადიული იდეალებისაკენ, სინათლისაკენ, სიახლისაკენ, უცნობი ჰორიზონტებისაკენ... მაგალითად:

შემოქმედებითი საწყისი აღმიაწი — ეს ყოველთვის [აჯობებდა: მარად, გამუდმებით] წინ **სწრაფვა**ა, **სწრაფვა** უკეთესისაკენ, **პროგრესის**აკენ, **სრულყოფილებების**აკენ, ...**მშვენიერების**აკენ“ (სსრკ უსპს); ეს არის მარადიული **სწრაფვა** აღმიაწისა სიკეთისა და სიღამაზისაკენ („საბჭ. ხელოვნ.“).

ამ ტიპის კონტექსტებში სწრაფვის (მიზანსწრაფული სვლის) სემანტიკაა წინ წამოწეული.

ბ) შევხედოთ იმავე მოვლენას შედეგის თვალსაზრისით: რის მიღწევას ვარაუდობს კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტის ქმედება — სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება? — ჭეშმარიტების, მშვენიერების, სიახლის, უცნობი ჰორიზონტების წვდომას, გამარჯვების მოპოვებას, მარადიულ იდეალებთან თანაზიარობას...

ამ მნიშვნელობას -მი (-დმი)-თანდებულიანი კონსტრუქცია შეეფერება. ეს უკანასკნელი ხაზს უსვამს მოქმედების ობიექტს — სწრაფვის, ლტოლვის, მისწრაფების მიზანს (და არა სვლას ამ მიზნისაკენ, როგორც ეს -კენ-თანდებულიანი კონსტრუქციების დროს გვაქვს). მაგ.: სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი, მშვენიერებისადმი, გამარჯვებისადმი, მარადიული იდეალებისადმი, სიახლისადმი, უცნობი ჰორიზონტებისადმი... მაგალითად:

[მას] სიზბოლურად ლათინური ამერიკის ამ უდიდესი ქვეყნის მომავლისადმი სწრაფვა უნდა განესახიერებინა („კომ.“); მან [ოქტომბრის რევოლუციამ] ხორცი შეასხა მშრომელი აღამიანების სანუკვარ ოცნებებს, მათს მისწრაფებას თავისუფლების, თანასწორობისა და ბედნიერებისადმი („კომ.“).

-კენ და -მი(-დმი) თანდებულთა ამგვარი ფუნქციური განაწილებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ზმნურ (ისწრაფვის/მიისწრაფვის, ილტვის/მიილტვის) ფორმებთან, როცა ზმნა სემანტიკურად აქტიური ა, -მი(-დმი)-თანდებულიანი ფორმები იშვიათი გამოწვევის გარდა არ დასტურდება — ზმნურ კონსტრუქციებში -კენ-თანდებულიანი ფორმები იღებს მონაწილეობას. შდრ. ამ თვალსაზრისით:

მოკლე წინადადებებში იგი მისწრაფვის თავიკიდური პოზიციისა -კენ (ქსკ, II) და: ...შეინიშნება მისა მისწრაფება განაპირა პოზიციებზე სადმი (იქვე).

სხვა შემთხვევაში სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება სახელების სინტაქსურ კონსტრუქციას იმ სიტყვათა სინტაქსური უნარი განსაზღვრავს, რომელთა მნიშვნელობითაც ისინი იხმარებიან (იხ. ზემოთ). ეს სიტყვებია ინტერესი, მიდრეკილება, ტენდენცია, სურვილი, მცდელობა, სიყვარული... ამ უკანასკნელთ ან თავადაც -მი(-დმი)-თანდებულიანი კონსტრუქციები ახასიათებთ, ან ადვილად იგუებენ მას, როგორც მნიშვნელობის თვალსაზრისით ნეიტრალურ კონსტრუქციას.

მაგალიტები:

...ცდილობს ახალგაზრდაში გაადვივოს მისწრაფება აზროვნების მეცნიერული წესისადმი („სკ. და ცხოვრ.“).

(=ახალგაზრდას გაუდვივოს ინტერესი... წესისადმი).

არისტოტელეს აზრით, ...სახელმწიფოებრივი ცხოვრების აუცილებელი წინამძღვარი არის ადამიანთა ბუნებრივი მისწრაფება საერთო, პოლიტიკური ურთიერთობა-ცხოვრებისადმი (ფილოს. ისტ.).

(=მიდრეკილება ცხოვრებისადმი).

ბ. ბრეტტი ხალხური სიბრძნის, სიცოცხლისადმი სწრაფვის, სიკეთის სიმბოლოდ აქცევს აზრადს („კომ.“).

(=სიცოცხლის სიყვარულის სიმბოლოდ აქცევს).

სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება — მოქმედების სახელებთან საერთო სურათის მიხედვით -კენ-თანდებულიანი კონსტრუქციები ქარბობს, რასაც ამ სიტყვათა სემანტიკური აქტიურობა განაპირობებს. -კენ-თანდებულიან ფორმათა უპირატესობას უჭერს მხარს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც“ — რვატომეულიცა და ახლახან გამოსული ერთტომეულიც (იხ. ჩვენთვის საინტერესო სიტყვათა განმარტებები).

მიუხედავად ამისა, როგორც წარმოდგენილი მასალის მიხედვით ჩანს, თანამედროვე სიტყვათხმარებაში დიდია ამავე დანიშნულებით -მი(-დმი)-თანდებულიან კონსტრუქციათა მოხმარების არეც, იკვეთება გარკვეული ტენდენციაც სინონიმურ კონსტრუქციათა ფუნქციური გარჩევისა. თუკი ამ ტენდენციას -კენ და -მი(-დმი) თანდებულთა ფუნქციების გათვალისწინებით სასურველ მიმართულებას მივცემთ, ენაში არსებული პარალელიზმი დაუძლეველი აღარ იქნება.

როგორც უკვე ითქვა, **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება**, სიტყვათა მსგავსად **მიდრეკილება**ც სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულში ვკითხულობთ: **მიდრეკილება** — სწრაფვა, ლტოლვა რამესადმი; რისამე ვაწწყობილება, ხალისი; ნიჭი, უნარი.

ისეთი მნიშვნელობით ხმარებისას, როგორცაა **ნიჭი, უნარი**, სიტყვა **მიდრეკილება** შესიტყვებას -მი(-დმი)-თანდებულიან ან, იშვიათად, უთანდებულო ნათესაობითში დასმულ სახელთან ქმნის: **მუსიკის/მუსიკისადმი მიდრეკილება; ხატვის/ხატვისადმი მიდრეკილება** (შდრ.: მუსიკის ნიჭი, ხატვის ნიჭი).

სხვა შემთხვევაში მიდრეკილება -კენ და -იმ(-დმი)-თანდებულიან კონსტრუქციებში იღებს მონაწილეობას (საილუსტრაციო მასალა იხ. ზემოთ, გვ. 222-223);

ამ ასაკში შეიძინევა მიდრეკილება სიმსუქნისკენაც („საქ. ქალი“) და: თავს იჩენს... მარლიანი საჭმლისადმი მიდრეკილება (აქვე).

პარალელურ კონსტრუქციათაგან სიტყვათხმარებაში უპირატესობა აშკარად **-მი(-დმი)-**თანდებულიან კონსტრუქციას ენიჭება. ენაში არსებულ საერთო ვითარებას ასახავს ქველ-ში წარმოდგენილი დიფინიციაც, რომლის მიხედვითაც **მიდრეკილება** განიმარტება როგორც **რამისადმი სწრაფვა, ლტოლვა**. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ **მიდრეკილება** შესაძლებლობაა, სუბიექტში იმთავითვე ნაეარაუდევო შინაგანი ბუნების ხელსაყრელ პირობებში გამოვლენაა, ამგვარი არჩევანი მოულოდნელი არ უნდა იყოს:

[მას] მიუვითოთ ზედმეტ თვითდაჯერებულობაზე, სიყოფიანზე, ერთპიროვნულად საკითხების გადაწყვეტისადმი მიდრეკილებაზე („კომ.“). ...ქვე კიდევ ვერ მოიშალეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ხარჭზე გამდიდრებისადმი მიდრეკილება („კომ.“).

-კენ-თანდებულიანი სახელების მომრავლება, რაც ბოლო დროს შეინიშნება ენაში, **მიდრეკილება** სიტყვის **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება** სახელებთან სინონიმიზაციისა და ამის შედეგად ფუძის სემანტიკურად გააქტიურების შედეგი უნდა იყოს.

ნ. სურვილის, ნდომის, შესაძლებლობის... მნიშვნელობით **მისწრაფება** სათანადო **ისწრაფვის, მიისწრაფვის** ზმნურ ფორმათა მსგავსად მონაწილეობას იღებს ე. წ. ინტენიტიურ კონსტრუქციაში (მსგელობა ამგვარი კონსტრუქციების შესახებ იხ. ზემოთ). მაგალითად:

მისთვის [ადამიანისათვის] დამახასიათებელია „**მისწრაფება** მოაწყოს ცხოვრება მშვენივრად“ (ფილოს. ისტ.); ...ვეცილობთ ხელი შეუწყუთი ადამიანების ბუნებრივ **მისწრაფებას** ერთად იყვნენ („ლელი“); ამით დასავლეთის სახელმწიფოებმა გამოაშკარავეს თავიანთი **მისწრაფება** ჩაეუშვათ განიარაღების საქმე (სკვბ ისტ.); ყოველივე ეს მეტყველებს საკუთარი თავისადმი მის დიდ მოთხოვნილებაზე, **მისწრაფებაზე** იყოს ზუსტი დეტალებში („თბილ.“).

იშვითად ამავე მნიშვნელობით **მისწრაფება** შეიძლება უთანდებულო ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელთანაც შეგვხვდეს:

უანგაროა ადამიანი მაშინ, როცა მას ამოძრავებს ხალხისათვის სასარგებლო მოღვაწეობის თავისუფალი **მისწრაფება** (გ. ბანძ.); [ნუშანები] ყოიკლ-

წაირად ცდილობდნენ გაეღვივებინათ მათში „ოლი ცხოვრების“ მისწრაფება (გ. ბუხნ. და გ. გვერდწ., თარგმ.); ტოტალური გათანაბრების შეუქცევად პროცესებს აღაშინი უბირისპირებს... საკუთარი ინდივიდუალობის თვითდადგინების მისწრაფებებს (გ. ბანა.).

6. როგორც უკვე ითქვა, **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება და მიდრეკილება** მრავალი მნიშვნელობის მქონე და ფართო მოხმარების სიტყვებია, რაც მათ სემანტიკურ ცვლასა და ბუნდოვანებას უწყობს ხელს. ზეპირსა თუ წერიტს მეტყველებაში მრავლად მოიპოვება ამ სიტყვათა მცდარად გამოყენების შემთხვევები. დარღვევები ძირითადად ორგვარი ხასიათისაა: ზოგჯერ კონტექსტისათვის სიტყვაა ცუდად ნერჩეული, ზოგჯერ კი სიტყვისათვის — სინტაქსური გარემო. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალიტს:

[პოეტის] სწრაფვა ბედის საზღვრის გადალახვისაკენ არ ემსახურება პირადულ მიზნებს (ქართ. ლიტ., IX).

აჯობებდა: პოეტის **მისწრაფება გადალახოს** „ბედის სამძლეარი“...

ბედის საზღვრის გადალახვის გზით მოძმეთა დახმარებისადმი მისწრაფება ბარათიშვილმა შეუღარებელი პოეტური სიძლიერით გადმოგვცა ლექსში „მერანი“ (ქართ. ლიტ., IX).

აჯობებდა: **მისწრაფება ბედის საზღვრის გადალახვის გზით დახმარებოდა** მოძმეთ...

[ბავშვი] ბაძავს უფროსების პრაქტიკულ საქმიანობას: მიისწრაფვის იმ მოქმედებათა შესრულებებისაკენ, რასაც უფროსები ასრულებენ („სკ. და ცხოვრ.“).

აჯობებდა: ცდილობს გააყეთოს ის, რასაც უფროსები აკეთებენ.

[ახალგაზრდების ერთ ნაწილს] სწრაფვა არც სწავლისაკენ ჰქონდა, არც შრომისაკენ, სენად ექცა სიზარმაცე („სკ. და ცხოვრ.“).

აჯობებდა: ახალგაზრდების ერთი ნაწილი არც სწავლობს და არც შრომობს.

როცა თანაბარ, უკომპრომისო ბრძოლაში მარცხდები, როცა გამარჯვებისადმი სწრაფვა ბოლო წუტამდე არ გტოვებს... მყურებელი არასოდეს გაგკიცხავს („საშშ.“).

აჯობებდა: გამარჯვებისათვის ბოლო წუტამდე იბრძვი...

პროფესიისადმი მიდრეკილების გარკვევაში გვეხმარება ანკეტური გამოკითხვა („სკ. და ცხოვრ.“).

აჯობებდა: პროფესიულ ორიენტაციაში...

იმ სარბიელზე, რომლისადმი ბუნებრივი მიდრეკილებები და ინტერესები გააჩნია პიროვნებას, მისი საქმიანობა ეფექტური და ხარისხიანი იქნება, ვიდრე ნებისმიერ სხვა სარბიელზე („სკ. და ცხოვრ.“).

სარბიელი ადამიანის ინტელექტუალური და შემოქმედებითი მოღვაწეობის სფეროს გულისხმობს უპირატესად, ამიტომ იგი მოცემულ სიტუაციისათვის ზედმეტად მაღალფარდოვანი სიტყვა ჩანს. აჯობებდა ამ თვალსაზრისით ნეიტრალური სიტყვა **დარგი**. სახელდობრ, ასე: საქმიანობა იმ დარგში, რომელიც აინტერესებს და იზილავს ადამიანს, მუდამ უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება, ვიდრე ნებისმიერ სხვა დარგში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ბოლო დროს ბევრი იწერება მოზარდთა პროფესიული ორიენტაციის შესახებ. ამ სტატუტში ვანსაკუთრებით ხშირია სიტყვა **მიდრეკილების** გამოყენების შემთხვევები და თითქმის უგულვებელყოფილი — სინონიმური **ნიჭი, უნარი და შესაძლებლობა**. როგორც ჩანს, ეს იმ მიზეზითაც ხდება, რომ **მიდრეკილება** სემანტიკურად უფრო ნეიტრალური სიტყვაა, ვიდრე **ნიჭი, უნარი და შესაძლებლობა**. ამ უკანასკნელთ შემფასებლური ნიუანსი ახლავს. მაინც სასურველი იქნება თავი შევიკავოთ მისი (სიტყვა **მიდრეკილების**) ზედმეტად გამოყენებისაგან კონსტრუქციის სიმძიმის გამო.

III. 1. -კენ-თანდებულიან ან ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციას ქმნის ზმნა **მოუწოდებს** და ამ მოქმედების სახელი **მოწოდება**. ეს სინტაქსური კონსტრუქცია კარგად ეხამება სიტყვის მნიშვნელობას. ქვეგლ-ის ერთტომეულის მიხედვით, **მოუწოდებს** ასე განიშარტება: რაიმე საქმის შესასრულებლად მოუხმობს (-კენ-თანდებულიან ფორმებია მოწოდებულ სათანადო რუსული გამოთქმის призвать к порядку ქართულ ეკვივალენტადაც)²⁹.

მაგალითები:

ჩვენ მოვალენი ვართ ახალგაზრდობას მოგუწოდოთ სიწმინდისაკენ, კეთილსინდისიერი შრომისაკენ, სიმართლისაკენ („თბილ.“); წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ... კომუნისტებს... („თბილ.“); ბრძოლისა და სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებს ოდნავ გადაკეთებული ხალხური ლექსიც („ახ. კომ.“); ...მოითხველს შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდ-

²⁹ რუსულ-ქართული ლექსიკონი, ერთტომეული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 1983.

დებდა („ახ. კომ.“): იგი კვლავ და კვლავ მოგვიწოდებს სიკეთისაკენ, კაცთმოყვარობისაკენ, ბედნიერი მომავლისაკენ („სოფლ. ცხოვრ.“); ...არავის აძლევს დუმილის უფლებას — იგი უშრისძიებსისაკენ მოუწოდებს („ლიტ. საქ.“); ეს უკანასკნელნი მოთმინებებისა და მორჩილებისაკენ მოუწოდებდნენ მორწმუნეებს („ს. და ცხოვრ.“); თქვენ პატიოსნებისაკენ, თავდადებული შრომისაკენ მოგვიწოდებთ („ნორჩ. ლენინ.“); ჩვენ ჩვენმა ღმერთმა მოგვიწოდა ნათელისაკენ (ლ. სანიკ.).

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის გამოყენებისა:

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ მოგვიწოდებთ ვიმოქმედოთ ერთობლად („ლიტ. საქ.“); ეკლესიამ მოუწოდა მორწმუნეებს, „გაეთავისუფლებინათ უფლის საფლავი ურჯულოთაგან“ (შუა საუკ. ისტ., VI); ცლადიმერ მონომახი მოუწოდებდა ესწავლათ სიკეთე, არ მიეყენებინათ ზიანთ „არც სოფლებისა და არც ყანებისათვის“, პატივი ეცათ უფროსებისათვის, არ ეზარმაეცათ (სსრკ ისტ., VII).

სტილისტიკური დანიშნულებით არის გამოყენებული უთანდებულო ვითარებიანი ბრუნვის ფორმა -კენ თანდებულის ფუნქციით:

...სიმღერები შეთხზა მხედრული, რომელიც ბრძოლად მოუწოდებს მამაც კაბუყებს (თ. ჩხენკ., თარგმ.).

საერთო ფონზე ერთგვარ გამონაკლისად ჩანს ამავე დანიშნულებით -თვის-თანდებულიანი კონსტრუქცია, რომელსაც უპირატესად გაზ. „კომუნისტი“ მიმართავს:

ქალმა მას წესრიგისათვის მოუწოდა; სრულიადაც არ მოუწოდებ გუნდს თვითდამშვიდებისათვის, ქედმაღლობისათვის; განსაკუთრებული სიფხიზლისათვის მოგვიწოდებს; პიესა და სპექტაკლი ბრძოლისათვის მოგვიწოდებენ; [ნაკლოვანებების] აღმოფხვრისათვის მოუწოდებენ; მშვიდობისათვის მოწოდებ...

ჩვეულებრივ, -კენ-თანდებულიან კონსტრუქციას ქმნის ზმნა უბიძგებს. ჩვენი მასალების მიხედვით, ასეთი შესიტყვებებია: უბიძგებს უფსკრულისაკენ, საქმიანობისაკენ, სინდისთან გარიგებისაკენ, არა-შრომითი შემოსავლისაკენ, განუტკვრეტელი შედეგების მომტანი მოქმედებისაკენ, განსჯისაკენ...

გამონაკლისის სახით უბიძგებს ზმნასთან -თვის-თანდებულიანი კონსტრუქციაც დასტურდება: „ყოველივე ეს მორალურად და ფსიქოლოგიურად ჩამოუყალიბებელ ახალგაზრდას უბიძგებს დანაშაულის ჩადენისათვის“ („კომ.“).

ზემოთ საუბარი იყო **ისწრაფვის, მიისწრაფვის და სწრაფვა, მი-
წრაფება** სიტყვათა სინტაქსური კონსტრუქციების შესახებ. გამონა-
კლისის სახით მათ გვერდით -**თვის** თანდებულზე გვხვდება. მაგალითად:

ფართო მასებში ასეთი ვითარება, როგორც წესი, ასუსტებს დირსეულ-
ბისათვის სწრაფვას (გ. ბანძ.); მარჯანიშვილელთა სწრაფვა ძიებნი-
სა და ექსპერიმენტისათვის... („თბილ“); თბილისის „დინამო“ [მოპოვა
პრიზი] „გამარჯვებისათვის სწრაფვისათვის“ („კომ.“).

დასახელებულ მაგალითებში -**თვის**-თანდებულიან ფორმებთან შე-
დარებით უპირატესობა აშკარად -**კენ**-თანდებულიან ფორმებს ენიჭე-
ბა. სხვა შემთხვევაში კი უპირატესობა ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქ-
ციას ან სინონიმური მნიშვნელობის მქონე ზმნას ეძლევა:

როგორც ნოუშენი ის [ადამიანი] მიისწრაფვის აბსოლუტური ზნეობრივი
სრულყოფისათვის (ფილოს. ისტ.).

აჯობებდა: ადამიანი **ისწრაფვის მიაღწიოს** აბსოლუტურ ზნეობრივ
სრულყოფილებას.

ისინი მუდამ „ისწრაფვიან იმისათვის, რომ სრულონ მოღვაწეობის
სტილი და მეთოდები“ („კომ.“).

აჯობებდა: ...**ცდილობენ სრულყონ...**

-**თვის** თანდებული დანიშნულებას გამოხატავს. ძველი ქართულისა-
თვის ეს მნიშვნელობა მიმართულებითი (ვითარებითი) ბრუნვის თავდა-
პირველი ფუნქციის — მიმართულების ჩვენებიდან ჩანს გან-
ვითარებული³⁰. ამის მიხედვით, მიმართულებითი ბრუნვის ფორმის,
-**კენ** და -**მი(-დმი)** თანდებულებისა და გარკვეული თვალსაზრისით
-**თვის** თანდებულის ერთ ფუნქციურ ლერძზე განლაგება მთლად მო-
ულოდნელი შეიძლება არ იყოს³¹. -**კენ/-მი (-დმი)** თანდებულთა ფუნ-
ქციით -**თვის** თანდებულის გამოყენების შემთხვევებს ენაში გამონა-
კლისის ხასიათი აქვს და ძირითად ფორმებს ის, ცხადია, მეტოქეობას
ვერ გაუწევს. ეს არც სასურველია, რადგან მას მხოლოდ ფუნქციური
გაბუნდოვანება და კონსტრუქციითა პარალელიზმი შეიძლება მოჰყვეს
შედეგად.

³⁰ თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება
და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის..., წ. I, თბ.,
1956, გვ. 431.

³¹ ენაში -**თვის** და -**მი(-დმი)** თანდებულთა მონაცვლეობის შემთხვევებზე დას-
ტურდება. იხ. ჩვენი, დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე
ბრესის ენაში: ქსეს, წიგნი 111, თბ., 1980, გვ. 238—240.

კონსტრუქციათა პარალელიზმს ხშირად სიტყვის პოლისემიურობა და, აქედან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევებში მისი სემანტიკური ბუნდოვანება იწვევს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს პოლისემიური მნიშვნელობის მქონე სიტყვები — **მიმართავს, მიმართვა, მიმართული**. მათი მნიშვნელობის ცალსახად წარმოჩენა ჭირს ან თითქმის შეუძლებელია სემანტიკური შემავსებლების გარეშე — მნიშვნელობათა შესაბამისად კი ისინი განსხვავებულ სინტაქსურ კონსტრუქციებს ქმნიან. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საერთო ძირის მიუხედავად **მიმართავს, მიმართვა, მიმართული** სიტყვებს ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსები აქვთ, რაც განაპირობებს კიდევ მათ განსხვავებულ სინტაქსურ გარემოცვას. ქვემოთ ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ მნიშვნელობაზე და მასთან დაკავშირებულ სინტაქსურ კონსტრუქციაზე იქნება საუბარი:

ა) სიტყვა **მიმართული**, როცა მას **მიშვერილის, მიქცეულის** (პირდაპირი თუ გადატანითი) მნიშვნელობა აქვს, **-კენ-**თანდებულიან შემსიტყვებაში იღებს მონაწილეობას:

სამხრეთი ამერიკა წაგავს... სამკუთხედს, რომელიც ფუძით მიმართულია ჩრდილოეთისაკენ, ხოლო წვეროთი — სამხრეთისაკენ (კონტ. გეოგრაფ., VI); წვერძებში მიმართულია წარბავალი და დროებითი სამყაროსაკენ, გარესამყაროსაკენ, აზროვნება კი თავისი თავის შემეცნებითისაკენ, ადამიანის შინაგანი სამყაროს შემეცნებითისაკენ (თ. კუკ.).

ბ) ეგვევ სიტყვა ასეთი მნიშვნელობითაც იხმარება: **დანიშნული** (რაიმე მიზნის განსახორციელებლად); **გამიზნული**. ამ მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, **-კენ-**თანდებულიანი შესიტყვებები გვხვდება:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა ღონისძიება მიმართული იყო სახალხო ჩინეთთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან მეგობრობის განმტკიცებისაკენ (სკკპ ისტ.).

უარყოფითი მნიშვნელობის მქონე კონტექსტებში **-კენ-**თანდებულიან კონსტრუქციასთან ერთად **წინააღმდეგ** — თანდებულად გამოყენებული ზმნისართით შედგენილი შესიტყვებებიც იხმარება. ამ უკანასკნელთა მოხმარების არე, გამოყენების სიხშირის მიხედვით, სჭარბობს კიდევ **-კენ-**თანდებულიან კონსტრუქციებს:

...ეს ცნებები მათ გათიშულობაზე მეტყველებდა და მათი დაძლევისაკენ იყო მიმართული (თ. კუკ.). **შდრ.:** ამ სტრატეგიის მახვილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული (კომ. #).

სტილისტიკურად მოძველებულია ამ დანიშნულებით -**მი(-დმი)-თან-**დებულიანი კონსტრუქციის გამოყენება:

...შუილის ძირითადი მკურნალობა მისი გამომწვევი მიზეზისადმი უნდა იყოს მიმართული („სოფლ. ცხოვრ.“).

მოსალოდნელი იყო: მისი გამომწვევი მიზეზის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

მიმართული ზემოთ დასახელებული მნიშვნელობით ზოგჯერ -**თვის-**თანდებულიან სახელებთანაც იხმარება, რაც მისთვის არაბუნებრივ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის. მაგალითად:

ყოველი მუშაკის საქმიანობა მიმართულია დ. გულისა და საბჭოთა აფხაზეთის სხვა პოეტებისა და მწერლების შემოქმედებითი მემკვიდრეობას უკეთ შესწავლისა და პროზაგანდისათვის, საბჭოთა ეპოქის მასალებით სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტებისათვის, აფხაზეთის პოეტებისა და მწერლების პირადი არქივების მასალების შეკრებისათვის („კომ.“).

უნდა ყოფილიყო: ...საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ უკეთ შეისწავლონ და პროზაგანდა გაუწიონ... მწერლების შემოქმედებით მემკვიდრეობას, საბჭოთა ეპოქის ამსახველი მასალებით დააკომპლექტონ სამუზეუმო ფონდები, შეკრიბონ... მწერლების პირადი არქივის მასალები. ან: ...საქმიანობა მიზნად ისახავს... მწერლების შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლასა და პროზაგანდას, ...სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტებას, ...მასალების შეკრებას.

ამგვარი სტილისტიკური ჩარევის სურვილს იწვევს ზოგჯერ სინტაქსურად მართებული -**კენ-**თანდებულიანი შესიტყვების შემცველი ზოგი კონტექსტიც. მაგალითად:

მისი [დემეტრე მეორის] პოლიტიკა აზრებული ქვეყნის აღდგენისაკენ იყო მიმართული (საქ. ისტ., VII—X).

აჯობებდა: მისი პოლიტიკა მიზნად ისახავდა აზრებული ქვეყნის აღდგენას.

-**კენ-**თანდებულიანი კონსტრუქციის მნიშვნელობა აქვს შესიტყვებას, რომელსაც სიტყვა **მიმართული** ქმნის მყოფადის მიმღებობის ვითარებითი ბრუნვის ფორმასთან ერთად. მაგალითად:

[მოწინავე პედაგოგები] სახალხო სკოლას უყურებდნენ, როგორც საშუალებას, მიმართულს ბავშვის სულიერი და ზორციელი ძალების აღსაზრდელად და პარმონიულად გასავეითარებლად („განათლ.“).

გ) მიმართვა (მიმართული), როცა ის რაიმე საქმის შესასრულებლად მოწოდების მნიშვნელობით არის ნახმარი, მიმართვის ობიექტს -მი(-დმი)-თანდებულიანი ფორმით შეიწყობს. იშვიათად, სათაურის ტიპის შესიტყვებებში, ამავე ფუნქციით უთანდებულო მიცემითა დასმული სახელიც გვხვდება:

მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი („კომ.“); მხედველობაში მამს მისი უკანასკნელი მიმართვა ცახალგაზრდობისადმი („სოფლ. ცხოვრ.“). მიმართვა მსოფლიოს მწერლებს („ლიტ. საქ.“).

2. დასახელებული -მი(-დმი)-თანდებულიანი და ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციების გარდა -კენ-თანდებულიანი კონსტრუქციის მნიშვნელობით სხვა ენობრივ-სემანტიკური საშუალებებიც გამოიყენება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი მოხმარების სფერო ენაში ერთობ შეზღუდულია და, ზოგი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ სტილისტიკური დანიშნულებით გამართლებული.

ა) ერთ-ერთ ასეთ სინონიმურ კონსტრუქციას ქმნის ისეთი სიტყვებით შედგენილი კონსტრუქციები, როგორცაა მიმართულებით და მხარეს (როგორც ითქვა, კერძო>კენ, მიმართულებით და მხარეს ურთიერთგანმსაზღვრელი მნიშვნელობების მქონე ერთეულებია):

სულ მალე მანქანების კოლონა ომალო-ბოჭორმის მიმართულებით დაიძრა („კომ.“). შდრ.: ყველაზე ადრე იერუსალიმისაკენ დაიძრნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების გლეხები (შუა საუკ. ისტ., VI).

— გითხრათ?... კარგი! — წამოიძახა მოხვევმ და საჩქაროდ მიბრუნდა იმ მხარეს, სადაც ონისე იდგა (ა. ყაზბ.).

ბ) ესწრაფვის, ელტვის — რელატიური ფორმების გამოყენებით კონტექსტში შეიძლება თავიდან ავიცილოთ თანდებულიანი შესიტყვებები, რომლებსაც აბსოლუტური ისწრაფვის, ილტვის ზმნური ფორმები ქმნის:

იგი [სსრკ] არავის არ ემუქრება, არ ესწრაფვის დაპირისპირებას არც ერთ სახელმწიფოსთან („კომ.“); საბჭოთა სახელმწიფო და მისი მოკავშირეები არ ესწრაფვიან სამხედრო უპირატესობის მიღწევას („კომ.“).

მიზანი, რასაც ჩვენ მივ ელტვიით, ურყევი არის (თ. ჩხეკ., თარგმ.).

გ) მაღალფარდოვნებისა და არქაულობის სტილისტიკურ ეფექტს ქმნიან ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებში უთანდებულო მიმართულებითი ბრუნვის ფორმები. ის, რაც არცთუ შორეულ წარსულში ლიტერატურული ნორმა იყო, დღეს ტექსტის სტილიზაციისათვის არის მოხმობილი (შდრ.: „მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ...“ — ნ. ბარათ.). მაგალითად:

შენს შმაგ ჩანჩქერებს, მთიდან ბარად რომ იჩქარიან, ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად, მრავალუამიერ! (ა. კალანდ.).

...სწორედ ზეცად მიიღო რა თოდნენ გრიგოლ ხანძთელის, მის წინაპართა და მიმდევართა უბრწყინვალესი ქმნილებანი: ოპიზა, ხანძთა, შატბერდო.. (ლ. სანუკ.).

მარად დღე სიკვდილს რომ მოუხმობს — ყოვლის შემშუსრველს, სიკვდილს, რომლისად მიღრკა ჩემი ტანჯული სული (თ. ჩხენკ., თარგმ.).

განძალ გპოვბდი: მექმნები შიშად და არა ღზენად... თუ ჩაქრე, მეცა მიკდრკეები ქრობად, ფოთოლთა ცვენად (ა. კალანდ.).

კერძო>კენ და მიმართ თანდებულთა ფუნქციური მიანაცვლებობის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. ერთი ასეთი მონაცვლებობის ნიმუში სხვა ენობრივ თუ სტილურ საშუალებებთან ერთად სასურველ ეფექტს ქმნის მკითხველის წინაშე შუა საუკუნეთა პოეზიის გასაცოცხლებლად:

და როს სავსებით განმარტოვდი, ასე ვიუბნე ცათა უსაზღვრო სასუფევლის მიმართ მზირალმა: ნეტარ არს, სულო მშვენიერთ, შენი მხალგაილი! (თ. ჩხენკ., თარგმ.).

„ცათა უსაზღვრო სასუფევლის მიმართ მზირალს“ გარდასულ დღეთა სურნელი ახლავს. შდრ. ნ. ბარათაშვილის „და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა...“

ასეთივე სტილისტიკური დატვირთვა აქვს უთანდებულო მოქმედებითის ფორმით გამოყენებულ კითხვით ზმნისართს საით? მაგალითად:

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას? (გ. ტაბ.).

ღრუბლები... კვლავ საით მიდიან ღრუბლები? (ა. კალანდ.).

დ) და ბოლოს, ზოგიერთი სიტყვის შესახებ, რომელთა გააქტიურება ენაში თავიდან აგვაცილებდა **სწრაფვა, მისწრაფება** სიტყვებით შედგენილ ბევრ დაშტამპულ თანდებულებთან შესიტყვებას. მოციყვანთ რამდენიმე ასეთ მაგალითს ჩვენი ახლო წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან:

ადამიანის მიზანი, ამბობს პლატონი, არის სიკეთე (ფილოს. ისტ.); ისინი მუდამ ახალსა და ახალს მიზანს ეძიებენ ცხოვრებაში, მაგრამ ვერსად პოულობენ თავის თავს (კ. გამს.); ადამიანი უნდა ეცადოს გახდეს ზნეობრივად სრული (ფილოს. ისტ.); მათ [სტოელების] იდეალს წარმოადგენდა წყნარი ცხოვრება (ფილოს. ისტ.).

ჩვენი სტერეოტიპული მეტყველების მიხედვით, ამ წინადადებებს დღეს ალბათ ასეთი სახე ექნებოდა: პლატონის აზრით, ადამიანი სიკეთისაკენ ისწრაფვის; ისინი მუდამ სიახლისაკენ მიისწრაფვიან; ადა-

მიანი უნდა ისწრაფოდეს ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ; სტოელების იდეალს წყნარი ცხოვრებისაკენ მისწრაფება წარმოადგენდა.

IV. ზემოთქმულის მიხედვით, -კენ-თანდებულიან კონსტრუქციებთან დაკავშირებით ენაში ასეთი ვითარება გვაქვს:

-კენ (<კერძო) თანდებული ფუნქციითა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა — მასთან მხოლოდ მიმართულების ჩვენებაა დაკავშირებული. **-კენ-თანდებულიანი** სახელი ზმნური მოქმედების ლოკალიზაციას ახდენს სივრცეში, ის იმ სივრცობრივი ორიენტირის როლს ასრულებს, რომელსაც მიემართება *ზმნური მოქმედება. ზმნა, რომელიც სემანტიკურად იგუებს ამ მნიშვნელობას, ბუნებრივ შესიტყვებას შექმნის **-კენ-თანდებულიან** სახელთან.

-კენ-თანდებულიან შესიტყვებას პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის ზმნები ქმნიან ნებისმიერ სახელთან ერთად, განურჩევლად იმისა, კონკრეტულ-სავნობრივი მნიშვნელობისა იქნება ის, თუ — აბსტრაქტული.

1. როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, **-კენ-თანდებულიანი** კონსტრუქციები მყარია, როცა ზმნა პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი, ე. ი. სივრცეში გადაადგილება ფიზიკურად ხდება და იგი ობიექტურ სინამდვილეში ასევე ფიზიკურად არსებულ საგანს მიემართება. ფიზიკურად არსებულ საგანში ივარაუდება ყველაფერი, რაც გრამატიკულ ლიტერატურაში კონკრეტული საგნის სახელით მოიხსენიება და რასაც სინამდვილეში ნივთიერი, მატერიალური სახე აქვს. მაგ.: გარბის ტყისაკენ, ტალღებს მიაპობს ნაპირისაკენ.

2. ზოგიერთი გამოჩაქლისის გარდა, **-კენ-თანდებულიანი** კონსტრუქციები ასევე მყარი და ამ დანიშნულებით გამოსაყენებლად ერთადერთი კონსტრუქციებია მაშინაც, როცა ჩვენთვის საინტერესო ზმნები კონტექსტში გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობით იხმარება. ამ შემთხვევაში ისინი შესიტყვებას აბსტრაქტულ სახელებთან ქმნიან, ე. ი. ისეთი საგნების სახელებთან, რომელთაც ნივთიერი, მატერიალური სახე არა აქვთ. მაგ.: მიუძღვის კომუნიზმისაკენ, ნაბიჯი გადადგა უკეთესობისაკენ.

ამ ტიპის შესიტყვებებში ზმნის მნიშვნელობა, მართალია, მეტაფორულია, მაგრამ თავდაპირველ მნიშვნელობას დაცილებული არ არის — ამიტომ მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკა (თუმცა უკვე არა ფიზიკური) მასში კვლავაც ხელშესახებია. ეს ქმნის იმის პირობას, რომ ზმნამ, რომელიც სინამდვილეში არც სივრცობრივ გადაადგილებას გამოხატავს და არც რეალურად არსებულ საგანს მიემართება, შეინარჩუნოს მიმართულების გამოხატვის უნარი და თავისი თავდაპირველი სინტაქსური კონსტრუქცია.

3. მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის ზმნათაგან რამდენადმე განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს **ისწრაფვის/მიისწრაფვის, ილტვის/მიილტვის** ზმნები და ამ მოქმედების სახელები — **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება**.

ზმნური ფორმები როგორც პირდაპირი (ამ მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები ენაში შეზღუდულია), ისე გადატანილი მნიშვნელობით ხმარებისას, სხვა მოძრაობა-გადაადგილების ტიპის ზმნათა მსგავსად, **-კენ**-თანდებულის შესიტყვებებს ქმნიან. მაგ.: ისწრაფვის არმაზისაკენ, ისწრაფვის ჭეშმარიტებისაკენ...

4. გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას **ისწრაფვის, მიისწრაფვის** და **მისწრაფება** მონაწილეობას იღებენ ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციაში: ისწრაფვის გააკეთოს... მისწრაფება იცხოვროს...

გარკვეულ შემთხვევებში სწორედ ამ კონსტრუქციას უნდა მივაწინიჭოთ უპირატესობა **-კენ**-თანდებულის შესიტყვებებთან შედარებით.

5. მოქმედების სახელები **სწრაფვა, ლტოლვა, მისწრაფება, მიდრეკილება**, რომლებიც მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით ხმარებიან, ერთი და იმავე მნიშვნელობით **-კენ** და **-მი(-დმი)**-თანდებულის კონსტრუქციებს ქმნიან: სწრაფვა გამარჯვებისაკენ და სწრაფვა გამარჯვებისადმი; მისწრაფება მშვენიერებისაკენ და მისწრაფება მშვენიერებისადმი; ლტოლვა თავისუფლებისაკენ და ლტოლვა თავისუფლებისადმი; მიდრეკილება სიმსუქნისაკენ და მიდრეკილება სიმსუქნისადმი.

პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით ენაში შეინიშნება ცდა სინონიმურ კონსტრუქციათა შინაარსობრივი დიფერენციაციისა, კერძოდ: სემანტიკურად აქტიურ კონტექსტს შეუხამოს მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით მკვეთრი **-კენ** თანდებული (სწრაფვა გამარჯვებისაკენ), ხოლო როცა კონტექსტით აქცენტირებულია არა იმდენად მოქმედების გარკვეული მიმართულებით გავრცელება, არამედ მოქმედების გარკვეული დანიშნულებით მიმართულობა, გამოიყენოს **-მი(-დმი)** თანდებული, როგორც მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით უფრო ნეიტრალური (სწრაფვა გამარჯვებისადმი).

მიდრეკილება ვარიანტულ კონსტრუქციათა ამგვარი გარჩევისადმი ემყარება **-კენ** და **-მი(-დმი)** თანდებულთა ფუნქციურ სხვაობას, რომელიც სულ უფრო ხელშესახები ხდება თანამედროვე სიტყვათხმარებაში.

6. ენაში მოძრაობა-გადაადგილების სემანტიკური წრის ზმნათა უმართებულო სინტაქსურ თუ სტილისტიკურ გარემოცვაში გამოყენების შემთხვევებიც გვხვდება. ძირითად საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში მათ შესახებაც იყო საუბარი, თუმცა ნათქვამი სრულიადაც არ ამოწურავს ყველა იმ საკითხს, რომელიც ნორმალიზაციის თვალსაზრისით შეიძლება დაისვას.